პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 28-ე წელი

ოთხშაბათი, 19 მაისი, 1948 წ. № 99 (8143). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

გულისხმიერად მოვეპყროთ მშრომელთა მოთხოვნებსა და საჭიროებას—მოწინავე (1-ლი გვერდი).
60 წელი ნ. მ. შვერნიკის დაბადებიდან (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის გენიალური ფილოსოფიური ნაშრომი (მე-2 და მე-3 გვერდი).
ნ. ჯანჯღავა — სამხრეთ ოსეთში ხვნა-თესვის ტემპი უნდა დაჩქარდეს (მე-3 გვერდი).
ლ. ბაგრატიონი — „ქეთო და კოტე“ (მე-3 გვერდი).
კ. რუსიშვილი — ერთ დღეს ბათუმში... (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

გულისხმიერად მოვეპყროთ მშრომელთა მოთხოვნებსა და საჭიროებას

საბჭოთა სახელმწიფოს აპარატის მუშაკი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. მას ახასიათებს მუშაობის ის განსაკუთრებული სტილი, რასაც საბჭოთა ადამიანებს უნერგავს ბოლშევიკური პარტია.

საბჭოთა აპარატის ყოველი მუშაკი თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულების ნიმუშს უნდა იძლეოდეს. მუშაობის ყოველ უბანზე იგი უწინარეს ყოვლისა მოვალეა იდგეს სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების, ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, ემსახურებოდეს მათ ძალ-ღონის დაუზოგავად, მთელი თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და უნარით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის საპირველმაისო მოწოდებებში ნათქვამია: „სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებო! გააუმჯობესეთ საბჭოთა აპარატის მუშაობა, განამტკიცეთ სახელმწიფო დისციპლინა, გულისხმიერად მოეპყარით მშრომელთა მოთხოვნებსა და საჭიროებას!“ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ საბრძოლო მოწოდების შესრულება თვითეული საბჭოთა მუშაკის მოვალეობაა.

გულისხმიერება და ყურადღება მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მოთხოვნებისა და საჭიროებებისადმი, მისწრაფება, რომ ყველაფერი გააკეთო, რათა მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები განუხრელად უმჯობესდებოდეს, — აი თვითეული საბჭოთა მუშაკის ამოცანა.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული მუშაკები კარგად ართმევენ თავს მათთვის დაკისრებულ ამოცანებს, გვიჩვენებენ მუშაობის საუკეთესო მაგალითებს, ყოველდღიურად ზრუნავენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის უფრო და უფრო ამაღლებისათვის.

მიუხედავად ამისა, არიან ცალკეული ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ შეგნებული საბჭოთა მუშაკის წმიდათა-წმიდა მოვალეობა — ხალხისადმი ერთგული სამსახური. საბჭოთა კანონების, საბჭოთა მორალის ყოვლად უხეშ დარღვევას წარმოადგენს ზოგიერთი მუშაკის მოქმედება, რომელთაც შესაძლებლად მიაჩნიათ ანგარიში არ გაუწიონ მშრომელთა უფლებებს, საჭიროებას და საზოგადოებრივ ინტერესებზე უფრო მაღლა თავის პირად ინტერესებს აყენებენ.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

გასული წლის ოქტომბერში „კომუნისტის“ რედაქციას განცხადებით მიმართა ექიმმა ნ. სოლომონიამ იმის შესახებ, რომ მას ბინაზე ავიწროებენ, ოთახში შესავალი მოუსპეს, ტიხარი გააკეთეს ტექნიკური და სახანძრო თვალსაზრისის გაუთვალისწინებლად. ამ საკითხზე მან მიმართა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. აღმასკომმა ადგილზე გამორკვევით ექიმის საჩივარი კანონიერად ჩასთვალა და ბერიას რაისაბჭოს აღმასკომს დაავალა, რათა ტიხარი სხვა ადგილზე გადაეტანა. გავიდა თვეები, წლები, და ეს დავალება არ შესრულებულა. ამ საქმეში დაუშვებელი სისუსტე გამოიჩინა მშრომელთა დეპუტატების თბილისის ბერიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. გოგოძემ, რომელმაც არავითარი ზომები არ მიიღო თავისი მოადგილისა და კომუნალური განყოფილების გამგის ნ. გიორგობიანის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა თავისი თანამდებობა საკუთარი ბინის გაფართოებისათვის გამოიყენა, ხოლო ექიმი ნ. სოლომონია შევიწროებული დარჩა, მისი კანონიერი საჩივარი კი უშედეგოდ დასტოვეს.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ 1939 წლის თებერვალში გამოიტანა გადაწყვეტილება მოქალაქე ნ. ჩაჩავასა და დ. ხანთაძეს შორის ბინის თაობაზე მომხდარი დავის შესახებ. ეს დადგენილება მოსამართლე ხანთაძემ არ შეასრულა და ძალით მოინდომა ჩაჩავასათვის სამზარეულოს წართმევა, მაგრამ როცა ამ მიზანს ვერ მიაღწია, კვლავ მიმართა სახალხო სასამართლოს. ამ სასამართლოს გადაწყვეტილებაც არ მოეწონა ხანთაძეს. მან თვითნებურად დაუნგრია სამზარეულო ნ. ჩაჩავას და შუშაბანდში გავლაც აუკრძალა, შემდეგ კვლავ სასამართლოს მიმართა და უკანასკნელის გადაწყვეტილებაც აბუჩად აიგდო. ამრიგად, მოსამართლე დ. ხანთაძემ სახალხო სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება არ შეასრულა და ნ. ჩაჩავას ხარჯზე გაიფართოვა საკუთარი ბინა. აშკარაა, რომ მოსამართლე დ. ხანთაძე არავითარ ანგარიშს არ უწევს მოქალაქეთა კანონიერ უფლებებს და პირადი ინტერესებისათვის იყენებს თავის თანამდებობას.

საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციული კავშირის არტელ „წითელი დუშეთის“ გამგეობის თავმჯდომარედ რამდენიმე ხანს მუშაობდა გაქნილი კომბინატორი ნიკოლოზ ადეიშვილი. ეს არტელი მან პირადი შემოსავლის წყაროდ გადააქცია, 53.000 მანეთი გაფლანგა, ავტომანქანა ხალტურაზე ხეტიალში დაამსხვრია და არტელი დაშლამდე მიიყვანა. არტელში არაწესიერი მუშაობისა და ბოროტმოქმედებათა შესახებ თავის დროზე სიგნალებიც იყო, მაგრამ ამ სიგნალებს ყურადღება არ მიაქციეს. ნ. ადეიშვილის ეს ბოროტმოქმედებანი ამხილა ჩვენმა გაზეთმაც, მაგრამ დუშეთის რაიონის პროკურატურა და სახალხო სასამართლო რატომღაც სდუმან.

მოყვანილი ფაქტები ნათლად მეტყველებენ, რომ საბჭოთა აპარატის ზოგიერთი მუშაკი ანგარიშს არ უწევს მშრომელთა კანონიერ მოთხოვნას, ამახინჯებს საბჭოთა კანონებს, ყურს არ უგდებს მასების სიგნალებს, პირადი ინტერესებისათვის იყენებს თანამდებობას. საბჭოთა დაწესებულების ყოველმა მუშაკმა გადაჭრით უნდა იბრძოლოს ასეთი მახინჯი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, ჩვენს დაწესებულებებში მომუშავე ადამიანებს მუდამ უნდა ახსოვდეთ გაზეთ „პრავდის“ მითითება, რომ „საბჭოთა მუშაკი არ ურიგდება ნაკლოვანებებს. თვითკრიტიკა ხელმძღვანელობის ბოლშევიკური მეთოდია, ჩვენი პარტიის მძლავრი იარაღია. ყოველმხრივ გააჩაღოს თვითკრიტიკა, მიუხედავად პიროვნებისა, ყური უგდოს და ხელი შეუწყოს მას, იცოდეს თვითკრიტიკიდან სწორი, ბოლშევიკური დასკვნების გამოყვანა — ეს საბჭოთა ხელმძღვანელის დიდი ხელოვნებაა. არ შეიძლება ხელმძღვანელად იყოს კაცი, რომელსაც კრიტიკისა ეშინია, ახშობს მას, ყურს არ უგდებს მშრომელთა ხმას. პარტია, ამხანაგი სტალინი გვასწავლიან არა მარტო ვუხელმძღვანელოთ მასებს, არამედ კიდევაც ვისწავლოთ მასებისაგან. ყოველივე იმის აღდგენას, რაც დანგრეულია, ჩვენი მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას ჩვენი სახელმწიფო განახორციელებს მშრომელთა წინადადებების გულისხმიერად მოსმენით, ქვემოდან მომდინარე ინიციატივისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობით, ნაკლოვანებებთან შეურიგებელი ბრძოლით“.

საგაზაფხულოდ მოხნულია 298.661 ჰექტარი

15 მაისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში საგაზაფხულოდ მოხნულია 298.661 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 93,1 პროცენტით.

აჭარის ასს რესპუბლიკაში გეგმა 84,2 პროცენტით არის შესრულებული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 72 პროცენტით, აბაშის რაიონში — 93,7, ცხაკაიას—86,3, გეგეჭკორის — 94,7, ზუგდიდის—90, ხობის—75, ჩხოროწყუს—90,4, მახარაძის—94,9, ლანჩხუთის—83,4, ქუთაისის—96,1, ვანის—91,2, ჩხარის—75,1, ჭიათურის — 79,5, ორჯონიკიძის—80,2, ტყიბულის —63,8, ონის—80,9, ამბროლაურის — 99, ცაგერის—64,5, ქვემო სვანეთის — 83,5, ქლუხორის—87,2, ახალქალაქის—40,4, ბოგდანოვკის—70,2, ადიგენის — 26,4, ხაშურის—96,4, ქარელის — 98,5, ბორჯომის—64,8, წალკის—36,2, დუშეთის—81,2, თეთრი წყაროს — 92,2, თიანეთის რაიონში—61,2 პროცენტით.

დათესილია 407.591 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები

საქართველოს კოლმეურნეობებმა 15 მაისისათვის 407.591 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დათესეს. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 79,5 პროცენტით. გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს წითელწყაროს, თბილისის, ახმეტის, ახალციხისა და ხაშურის რაიონებმა. 90-ზე მეტი პროცენტით დავალებანი შეასრულეს: საგარეჯოს, ბოლნისის, გარდაბნის, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, კასპის, გურჯაანის, კასპის, გორის, ქარელის, ასპინძისა და ამბროლაურის რაიონებმა.

ზუგდიდის რაიონში თესვის გეგმა 54,3 პროცენტით არის შესრულებული, ხობის რაიონში—58,7 პროცენტით, სამტრედიის—50,3, დმანისის რაიონში — 59,7 პროცენტით.

60 წელი ნ. მ. შვერნიკის დაბადებიდან

ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება თქვენ მოანდომეთ მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმისათვის რევოლუციურ ბრძოლას, ღირსეულად ასრულებდით ამოცანებს, რომლებსაც ბოლშევიკური პარტია გისახავდათ.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ნიკოლოზ მიხეილის-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებით მუშაობას ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

ძვირფასო ნიკოლოზ მიხეილის-ძევ!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ამხანაგ სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელს.

ჭაბუკობის წლებიდან თქვენი სიცოცხლე მოანდომეთ ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლას, კომუნიზმისათვის ბრძოლას. როგორც ნაცად ბოლშევიკს, პარტია გნიშნავდათ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ პოსტებზე. მრავალი წლის მანძილზე თქვენ სათავეში ედექით პროფესიულ კავშირთა ხელმძღვანელ ორგანოს, მუშათა მასებს რაზმავდით სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულებისათვის. თქვენ ღირსეულად წარმომადგენლობდით საბჭოთა პროფესიულ კავშირებს საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობაში.

დიდი სამამულო ომის წლებში თქვენ დიდი მუშაობა გასწიეთ სამრეწველო საწარმოების ევაკუაციისათვის ჩვენი ქვეყნის შიდა რაიონებში, მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშახელით უზრუნველყოფისათვის.

ამჟამად, ჩვენი ქვეყნის მშრომელებისა და პარტიის მაღალი ნდობით აღჭურვილი, თქვენ ხელმძღვანელობთ საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს.

თქვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის მთელ მანძილზე ჩვენი ქვეყნის მშრომელები გიცნობენ როგორც ჩვენი ხალხის ერთგულ შვილს, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ნიკოლოზ მიხეილის-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს განსამტკიცებლად, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ ნ. მ. შვერნიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ნ. მ. შვერნიკის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების გამო ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **შვერნიკი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ვლასოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი. 1948 წლის 18 მაისი.

აგარის შაქრის ქარხანას 15 წელი შეუსრულდა

არსებობის 15 წელი შეუსრულდა აგარის ბერიას სახელობის შაქრის ქარხანას. 15 წლის მუშაობის მანძილზე ქარხანამ სამშობლოს მისცა 144 მილიონი კილოგრამი შაქარი.

ამ რამდენიმე დღის წინათ აგარის მუშათა კლუბში ჩატარდა ქარხნის არსებობის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

— 15 წლის განმავლობაში ქარხანაში აღიზარდნენ ადგილობრივი კვალიფიციური კადრები, რომლებმაც აითვისეს რთული დანადგარები და შეუფერხებლად ამუშავებენ მას, — განაცხადა თავის მოხსენებაში ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. ნანეიშვილმა.

ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებით დაამთავრა 1947-1948 წლის საწარმოო სეზონი. თვითღირებულების შემცირებით გაიზარდა შაქრის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების კოეფიციენტი.

ქარხანაში ამჟამად გაცხოველებული მზადებაა ახალი საწარმოო სეზონისათვის. ცალკეული საამქროები და ცვლები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დანადგართა რემონტის გეგმებს.

ქარხნის კოლექტივმა საიუბილეო საღამოზე პირობა დასდო ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს მომავალ სეზონს და მისცეს სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი შაქარი.

საბჭოთა კავშირში

სტალინის სახელობის მუზეუმი აღდგენილია

სტალინგრადის სადგურთან აღმართულია ლამაზი შენობა ისრისებრი კოშკებით და განიერი ვენეციური ფანჯრებით. ამ შენობაშია ამხანაგ სტალინის სახელობის მუზეუმი.

1918 წელს ამ სახლში იყო მოთავსებული თავდაცვის საბჭოს შტაბი და ქალაქის კომენდატურა. აქ არა ერთხელ ყოფილა ამხანაგი სტალინი, როცა თეთრგვარდიელთა ურდოებისაგან ცარიცინის დაცვის თავისი გენიალური გეგმის განხორციელებას ხელმძღვანელობდა. ბელადის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ამ შენობას სტალინგრადელები მოწიწებით იცავენ, როგორც წმიდათა წმიდა ძეგლს.

გერმანელმა ფაშისტმა მტაცებლებმა დაანგრიეს მუზეუმის შენობა, მაგრამ სტალინგრადელებმა იმ სახით აღადგინეს, როგორც ომამდე იყო. ახლა მუზეუმი შევსებულია ახალი ექსპონატებით, რომლებიც მოწმობენ გმირი ქალაქის ახალ სამხედრო სიმამაცეს დიდი სამამულო ომის წლებში.

მუზეუმში 6 დიდი ნათელი დარბაზია. იქ გამოფენილია ორი ათასი ექსპონატი, რომელთა შორის არის ლენინის და სტალინის ხელმოწერილი დოკუმენტების დედნები.

ხელოვნების საქმეთა კომიტეტში

13 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საბჭოთა კომპოზიტორების სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგები. ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე კომპოზიტორთა კავშირის გარდაქმნის პირველ ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკა კავშირის გენერალურმა მდივანმა ტ. ნ. ხრენიკოვმა.

კავშირი კომპოზიტორთა წინაშე ძირითად ამოცანად სახავს იდეურად სრულფასოვანი და მელოდიური საბჭოთა ოპერის შექმნას. კავშირში ჩამოყალიბებულია სპეციალური სექცია საბჭოთა ოპერის დარგში. შექმნილია სექციები და კომისიები, რომლებიც იმუშავებენ მუსიკალური ხელოვნების ყველა ჟანრის განვითარების, ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის, მოკავშირე რესპუბლიკათა მუსიკალური კულტურის ხელმძღვანელობის, ვოკალისტებისა და ინსტრუმენტალისტების შესრულების ოსტატობის ამაღლების, მუსიკის შესახებ მეცნიერების განვითარებისა და სხვა საკითხებზე.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მუსიკალური სამმართველოს საქმიანობის გეგმა. საბჭოთა კომპოზიტორებს წელს შეუკვეთენ 500-მდე ნაწარმოებს, მათ შორის არის საოპერო-დრამატიული ნაწარმოებნი, ორატორიები, კანტატები, სიმფონიები, სიმფონიური პოემები, კამერული თხზულებანი, სიმღერები, ნაწარმოებნი გუნდებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისათვის, სამხედრო ორკესტრებისათვის. ახალ მუსიკალურ ნაწარმოებთა თემები მნიშვნელოვანწილად მიძღვნილია საბჭოთა თანამედროვე სინამდვილისადმი, ხოლო ზოგიერთი — რუსული კლასიკური ლიტერატურისადმი.

კომპოზიტორთა შემოქმედების თემატიკური გეგმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომპოზიტორებმა, მუსიკის მცოდნეებმა. ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ პ. ი. ლებედევმა, რომელიც სხდომის დასასრულს გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაბედულად დავაწინაუროთ ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორები, ვიბრძოლოთ მუსიკალური ხელოვნების ღრმა იდეური შინაარსისათვის, გაუბრალოებისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ, მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის. (საკდესი).

ანრი ბარბიუსის დაბადების 75 წლისთავი

საღამო ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში

17 მაისს მოსკოვში შესდგა გამოჩენილი ფრანგი კომუნისტი მწერლის ანრი ბარბიუსის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საღამო, რომელიც სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირმა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ მოაწყეს.

საღამო გახსნა ლ. ლეონოვმა. მან ანრი ბარბიუსი დაახასიათა, როგორც საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, ფაშიზმის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი, საბჭოთა ხალხის გულწრფელი მეგობარი.

ანრი ბარბიუსის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე მოხსენება გააკეთა ა. ისბახმა.

ანრი ბარბიუსზე დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს ე. დ. სტასოვამ, ლ. ვ. ნიკულინმა, ბ. ა. პესისმა, კ. ლიდინმა, ი. ი. ანისიმოვმა, ა. ა. იგნატიევმა.

საღამო დამთავრდა კონცერტით. დედაქალაქის ხელოვნების ოსტატებმა წაიკითხეს მწერლის ნაწარმოებთა ნაწყვეტები. (საკდესი).

„მექანიკური ხურო“

ლენინგრადი, (საკდესი). „მექანიკური ხურო“ — ასე ეწოდება კიროვის ქარხნის სამოდელო საამქროს უფროსის—ინჟინერ მ. ი. ვარშავსკის მიერ კონსტრუირებულ დანადგარს. იგი განკუთვნილია ძელური სახლების და სხვა შენობებისათვის საჭირო ძელების დასამზადებლად და დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

— ჩემს მიერ გამოგონებული დანადგარი, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ამხ. ვარშავსკიმ, — ახალი რამ არის მშენებლობის საქმეში. იგი სრულიად ზედმეტს ხდის ხუროების ხელით შრომას. დანადგარზე ერთსა და იმავე დროს სწარმოებს ძელების ნაგვერდულების მექანიკური ჩამოხერხვა, კოტების ამოჭრა ძელურის კუთხეების შესაკვრელად და სხვა ოპერაციები. 16-ხრახნიანი ძელების დასამზადებლად ოთხ კვალიფიციურ ხუროს 17-20 დღე დასჭირდებოდა. „მექანიკური ხურო“ ორი მუშის მომსახურებით ამ სამუშაოს შეასრულებს 10 საათში. ამასთან ერთად საგრძნობი რაოდენობით იზოგება მასალა. ძელების ნაგვერდულები გამოყენებული იქნება სახლის იატაკისა და ჭერის დასაგებად, მაშინ როდესაც ხუროები ხელით მუშაობისას ძელების ნაწილს ნაფოტებად აქცევენ.

„მექანიკური ხურო“ მეტად მარტივია და შეიძლება დამზადდეს ყოველ ქარხანაში. ჩვენი პირველი დანადგარი გააკეთა ორმა მუშამ ერთი თვის განმავლობაში. მისი გადატანა ადვილად შეიძლება უშუალოდ მუშაობის ადგილზე.

კიროვის ქარხანაში უკვე მუშაობს „მექანიკური ხურო“. აგებულია პირველი ძელური სახლი, რომელიც სამი ოთახისაგან შესდგება და რომლის საერთო ფართობია 36 კვადრატული მეტრი.

ორმაგი საროტაციო მანქანა

შჩერბაკოვი, (იაროსლავლის ოლქი), (საკდესი). შჩერბაკოვის პოლიგრაფიული მოწყობილობის ქარხანაში დაიწყო „დრ“ მარკის ორმაგი საგაზეთო როტაციული მანქანების სერიული წარმოება. პირველი ორი საცდელი ნიმუში დამზადდა აპრილში — ვადაზე თვენახევრით ადრე. ისინი განკუთვნილია გაზეთების „იზვესტიისა“ და „მოსკოვსკი ბოლშევიკის“ სტამბებისათვის.

ორმაგი როტაციული მანქანა დიდად გაუმჯობესებულია. მისი მართვა შეიძლება ყოველი სამუშაო ადგილიდან. იგი საათში 40 ათას ცალ ოთხგვერდიან გაზეთს ბეჭდავს—ერთიორად მეტს, ვიდრე ეგრეთწოდებული საოლქო როტაციული მანქანა.

წელს გამოუშვებენ ასეთ მანქანათა პირველ პარტიას.

პეტრე პირველის სახლი

ვოლოგდა, 16 მაისი. (საკდესი). დღეს აქ, რესტავრაციისა და რემონტის შემდეგ, გაიხსნა პეტრე პირველის სახლი-მუზეუმი. ამ სახლში ბევრჯერ ჩამომხდარა პეტრე პირველი, როცა ვოლოგდაზე გაუვლია არხანგელსკში ფლოტის მოსაწყობად. უკანასკნელად პეტრე ვოლოგდაში იყო 1724 წელს, როცა თავისი ოჯახითურთ ოლონეცკის მინერალური წყლებიდან ბრუნდებოდა. პეტრეს დაბადების 200 წლისთავის დღეს ქალაქმა საკუთრებად შეიძინა ეს სახლი და დაარქვა პეტრეს სახლი. სახლში გამოფენილია სურათები, პეტრეს დროის ნივთები, მასალები ჩრდილოეთ რუსეთში პეტრეს ყოფნის შესახებ.

ვ. ი. ლენინის გენიალური ფილოსოფიური ნაშრომი

(ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-14 ტომი)

ვ. ი. ლენინის შესანიშნავი ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" მის თხზულებათა მეთოთხმეტე ტომში შევიდა. ლენინი ამ წიგნზე მუშაობას შეუდგა 1908 წლის თებერვალში და დაამთავრა ოქტომბერში. 1909 წლის მაისში ლენინის წიგნი დაიბეჭდა.

ჯერ კიდევ 1924 წელს, აფასებდა რა ლენინის შესანიშნავ ფილოსოფიურ ნაშრომს, ამხანაგმა სტალინმა ლექციებში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ" სთქვა:

„იმ მაღალი მნიშვნელობის ყველაზე უფრო მკვეთრ გამოხატულებად, რომელსაც ლენინი თეორიას აკუთვნებდა, შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სწორედ ლენინმა და არა სხვა ვინმემ მოჰკიდა ხელი უაღრესად სერიოზული ამოცანის შესრულებას — მეცნიერების მიერ ენგელსის დროიდან ლენინამდე მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს მიღწევათა განზოგადებას მატერიალისტურ ფილოსოფიაში და მარქსისტთა შორის არსებულ ანტიმატერიალისტურ მიმდინარეობათა ყოველმხრივ კრიტიკას. ენგელსი ამბობდა: „მატერიალიზმს ყოველი ახალი დიდი აღმოჩენის შემდეგ ახალი სახის მიღება უხდება". ცნობილია, რომ ეს ამოცანა თავის დროისათვის შეასრულა სწორედ ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" (ი. ბ. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები". მე-11 გამოც., გვ. 18).

ლენინის წიგნი შესანიშნავი ნიმუშია ბოლშევიკური პარტიულობისა და შეუპოვრობისა, მაგალითია მგზნებარე, შეურიგებელი ბრძოლისა, რომელსაც ჩვენი პარტია მუდამ ეწეოდა და ახლაც ეწევა მუშათა კლასის აშკარა და შენიღბული მტრების წინააღმდეგ, კომუნისტური მსოფლმხედველობის მტრების წინააღმდეგ. ლენინის ნაწარმოების გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიისათვის. ლენინის წიგნი იყო მარქსისტული პარტიის თეორიული მომზადება, მან მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებაში ახალი, უმაღლესი ეტაპი შეადგინა.

ლენინის ამ უკვდავ ნაწარმოებში განსაკუთრებული სიღრმითა და სიცხადით გამოხატულია ფილოსოფიისა და პოლიტიკის, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, ცხადყოფილია რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა კომუნიზმის გამარჯვებისათვის მუშათა კლასის პარტიის ბრძოლაში.

თითქმის ორმოცი წელი, რამაც განვლო მას შემდეგ, რაც ლენინის წიგნი გამოვიდა, — სავსებით საკმარისი ვადაა იმისათვის, რომ მასში მოცემული იდეები უაღრესად მკაცრად ყოფილიყო გამოცდილი და შემოწმებული. მერე რა აღმოჩნდა? მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ, მოვლენებით მდიდარმა ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა ლენინის იდეათა დიადი ძალა და მეცნიერული სიმართლე.

მოწინავე მსოფლმხედველობის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის ბრძოლაში, თეორიაში იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინის ნაწარმოები ახლაც უდიდესი მნიშვნელობის იდეური იარაღია.

I.

რა ისტორიულ პირობებში დაიწერა ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"?

1908-1909 წლები რუსეთში ღრმა რეაქციის პერიოდი იყო. რუსეთის პირველი—1905 წლის რევოლუცია მუშათა კლასის დროებითი დამარცხებითა და ცარიზმის გამარჯვებით დამთავრდა. ყველაფერი, რაც კი თუნდაც გარეგნულად წააგავდა დემოკრატიულს, სასტიკ დევნას განიცდიდა. რუსეთის რეაქციამ მთელი ფრონტით გამოაცხადა ლაშქრობა მუშათა კლასის წინააღმდეგ; იგი ანადგურებდა პროლეტარიატის პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციებს; მშრომელები შავრაზმელი სატრაპების ველური თარეშის მთელ სიმძიმეს განიცდიდნენ, ქვეყანას „სტოლიპინის ჰალსტუხი" ახრჩობდა; გაცოფებულმა რეაქციამ განიზრახა თავი მოეკვეთა რევოლუციური მოძრაობისათვის. ამოქმედებულ იქნა არა მარტო პოლიციელის ხელკეტი, არამედ სასულიერო ხელკეტიც.

ახასიათებდა რა რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთში არსებულ მდგომარეობას, ლენინი სწერდა:

„ცარიზმმა გაიმარჯვა. ყველა რევოლუციური და ოპოზიციური პარტია დამარცხებულია. პოლიტიკის ნაცვლად დაცემულობა, დემორალიზაცია, განხეთქილება, დაქსაქსულობა, რენეგატობა, პორნოგრაფია. ფილოსოფიური იდეალიზმისაკენ ლტოლვის გაძლიერება; მისტიციზმი, როგორც კონტრ-რევოლუციურ განწყობილებათა სამოსელი" (თხზ., ტ. XXV, გვ. 176).

პოლიტიკურ რეაქციას ზედ ერთვოდა მუშათა კლასისა და მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ იდეოლოგიური შეტევა. იდეოლოგიური ბრძოლა სულ სხვადასხვა ფორმით სწარმოებდა: ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი—ყველაფერი გამოყენებულ იქნა რევოლუციასთან საბრძოლველად. მოდური მწერლების ხროვა „აცამტვერებდა" მარქსიზმს, ხოტბას ასხამდა გამცემლობას, რენეგატობას, ღალატს. მხატვრული ლიტერატურის ფურცლებს ბნელეთის მოციქულები დაეუფლნენ; „პიროვნების კულტის" სახით ისინი ხოტბას ასხამდნენ სქესობრივ გარყვნილებას. ლიტერატურას ეტმასხებოდნენ დეკადენტთა, ფორმალისტთა, სიმბოლისტთა სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებთა ანტიხალხურ შინაარსს ჰფარავდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის უიდეობისა და გარეგანი სილამაზის ქადაგებით. ლიტერატურულ კრებულ „ვეხში" გერშენზონი, სტრუვე, ბულგაკოვი ინტელიგენციას მოუწოდებდნენ სასტიკად გასწორებოდა რევოლუციას. პეტერბურგში მუშაობა გააჩაღა „რელიგიურ - ფილოსოფიურმა საზოგადოებამ", რომელიც ეგრეთწოდებული ღვთისმაძიებლობის ბუდედ იქცა. საზოგადოების ხელმძღვანელები მისტიკოსი მერეჟკოვსკი და სალონის პოეტი ქალი გიპიუსი აშკარად გამოდიოდნენ რევოლუციის წინააღმდეგ, უწოდებდნენ მას ანტიქრისტეს მოსვლას და ბრძოლა გააჩაღეს ფილოსოფიური მატერიალიზმის წინააღმდეგ.

დაცემულობის განწყობილებამ და რევოლუციის ძალების ურწმუნობამ მოიცვა პარტიულ ინტელიგენტთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც მტკიცედ არ იდგნენ მარქსისტულ პოზიციებზე. ლუნაჩარსკი სათავეში ჩაუდგა ღვთისმაძიებლობის მონათესავე მიმდინარეობას—ღვთისმშენებლობას. ჯგუფი ინტელიგენტებისა, რომლებიც თავიანთ თავს მარქსისტებად სთვლიდნენ, — ბოგდანოვი, ბაზაროვი (რომლებიც 1905 წელს ბოლშევიკებს ემხრობოდნენ), იუშკევიჩი, ვალენტინოვი (მენშევიკები), ჩერნოვი (ესერი)—ერთიანი ფრონტით გამოვიდა მარქსიზმის ფილოსოფიურ-თეორიული და მეცნიერულ-ისტორიული საფუძვლების წინააღმდეგ. მათი გამოსვლა გარეგნულად ხდებოდა მარქსიზმის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების დროშით. მაგრამ ეს შენიღბვა იყო, ვინაიდან ნამდვილად მათ სურდათ ძირი გამოეთხარათ მარქსიზმისათვის და აღმოეფხვრათ იგი, მისი თეორიული საფუძვლები, მარქსიზმი შეეცვალათ რეაქციული იდეალისტური ფილოსოფიით—მახიზმით. მარქსიზმის ასეთი ფარისევლური კრიტიკა მით უფრო საშიში იყო, რომ მას შეეძლო შეცდომაში შეეყვანა პარტიის რიგითი წევრები, რომლებსაც თეორიული მომზადება არა ჰქონდათ, და აძლიერებდა რეაქციის საერთო ფრონტს.

ბოლშევიკები, რომლებსაც ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ, მარქსიზმის ერთადერთი თანმიმდევარი მომხრენი იყვნენ. რეაქციასთან ბრძოლაში მათ დაიცვეს პარტიის ძვირფასი საუნჯე — რევოლუციური თეორია.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების მომდევნო პერიოდში თეორიის საკითხებს აქტუალური მნიშვნელობა მიენიჭათ. დაისახა გადაუდებელი ამოცანა — მარქსიზმის მოსპობთათვის სიცრუის ნიღბის ჩამოგლეჯისა, შინაგან და საერთაშორისო რეაქციასთან მათი კავშირის ცხადყოფისა, მარქსიზმის თეორიული საფუძვლების — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დაცვისა.

ეს ამოცანა შეასრულა ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".

მისი დაწერის საბაბი გახდა ის, რომ 1908 წელს გამოვიდა კრებული „მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები", რომელსაც, როგორც ლენინი ამბობდა, უფრო სწორი იქნებოდა დარქმეოდა: „მარქსიზმის ფილოსოფიის საწინააღმდეგო ნარკვევები". ამ კრებულში შევიდა რევიზიონისტებისა და გადაგვარებულების მიერ დაწერილი სტატიები. თავიანთ სტატიებში ისინი მოითხოვდნენ „უფერული მატერიალიზმისაგან" განთავისუფლებას, დიალექტიკა მიაჩნდათ „მისტიკად" და სხვ. მარქსიზმის „დაზუსტებისა" და „განვითარების" დროშით ისინი მკითხველთ ხელში აჩეჩებდნენ დახვეწილ და შელამაზებულ იდეალიზმს, მეცნიერების სახით არაჩვეულებრივად მერყევ, აბნეულ და რეაქციულ აბდაუბდას იძლეოდნენ.

ყბადაღებული „ნარკვევების" გამოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ლენინს კარგად ჰქონდა შეგნებული „ფილოსოფიური წმენდის" საჭიროება, რათა მარქსიზმს ჩამოშორებოდა ყველაფერი, რასაც მარქსიზმს მისი მტრები მიაწერდნენ, თეორიულად ყოფილიყო გააზრებული რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკა, განზოგადებული ყოფილიყო მეცნიერების მიერ დაგროვებული გამოცდილება და მთლიანად ჩამოყალიბებულიყო მარქსისტული მსოფლმხედველობა. ყოველივე ამას გვიკარნახებდა იმის აუცილებლობა, რომ მუშათა კლასის პარტია თეორიულად მოგვემზადებინა პოლიტიკური ბრძოლისათვის იმპერიალიზმის პირობებში, შეგვეიარაღებინა პარტია რევოლუციური ბრძოლის კანონების ცოდნით, გვესწავლებინა მისთვის კლასობრივი ბრძოლის რთულ პირობებში გარკვევა.

წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ლენინმა დაწერა უკვე მას შემდეგ, რაც გამოვიდა „რა ვაკეთოთ?", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში", რომლებიც ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ მომზადებას წარმოადგენდნენ. ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" მარქსისტული პარტიის თეორიული მომზადება იყო.

თავის წიგნში ლენინმა არა მარტო სასტიკად გაანადგურა ფილოსოფოსი რეაქციონერები, ისე რომ მათი შეხედულებებისაგან ქვა ქვაზე აღარ დაუტოვებია, არამედ აგრეთვე დაიცვა კომუნიზმის თეორიული საფუძვლები, ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლები, გენიალურად განაზოგადა ყოველივე ის მნიშვნელოვანი და არსებითი, რაც მეცნიერებამ მთელი ისტორიული პერიოდის მანძილზე მოიპოვა.

რუსი რევიზიონისტებისა და გადაგვარებულების წინააღმდეგ მარქსისტული თეორიისათვის ლენინისა და ბოლშევიკების ბრძოლას საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ამხილებდა რა მარქსიზმის მოღალატეებს, რომლებიც ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის იდეოლოგიური გამომხატველები იყვნენ, ლენინი ამავე დროს გამანადგურებელ ლახვარს სცემდა საერთაშორისო რევიზიონიზმის საფუძვლება.

II.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ მარქსიზმის რუსი კრიტიკოსები ორიგინალური არ იყვნენ, რომ მათი შეხედულებების საფუძვლად ედო დასავლეთის იმდროინდელი მოდური რეაქციული ფილოსოფია—მახიზმი.

რუსი მახისტები მონური მლიქვნელობით იმეორებდნენ თავიანთი მასწავლებლების მახისა და ავენარიუსის აზრებს, სიტყვასიტყვით იწერდნენ სუბიექტური იდეალიზმის ძირითად დებულებებს და ცდილობდნენ მათთვის „უახლესი ფილოსოფიის" სახე მიეცათ. ლენინი უაღრესად გესლიანი სარკაზმით დასცინის „ფილოსოფიის ახალი მიმართულების" გამომგონებს, უწოდებს მათ „მოდის მოყვარულებს", „რომლებიც აღტაცებაში მოდიან ევროპის ბურჟუაზიული ფილოსოფოსების მიერ უკვე გაცვეთილი ქუდით" (თხზ., ტ. 14, გვ. 82).

მახიზმი, როგორც იდეალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რეაქციისა და ხუცობის იარაღი და გამტარებელი იყო. „იდეები", რომელთა მატარებლებიც თავის დროზე მახისტები იყვნენ, ახლა, ახალ პირობებში, ასე თუ ისე ღორძინდებიან. ისინი მოწოდებული არიან შეასრულონ იგივე სოციალური ფუნქციები: მეცნიერებაში შეაპარონ რელიგია, ძირი გამოუთხარონ მატერიალიზმის საფუძვლებს, მისტიკისა და ბნელეთისმოციქულობის ნაკადით დააბნელონ ხალხის მასების გაღვიძებული შეგნება.

მეცნიერებაში იმპერიალისტური რეაქციის აღდგომასთან ბრძოლა კეთილშობილური და საბრძოლო ამოცანაა. და აქ ყველაზე უფრო საიმედო იარაღს წარმოადგენს ფილოსოფიის ბოლშევიკური პარტიულობის დიადი ლენინური პრინციპი, რომელიც ლენინმა გენიალურად განავითარა მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მარქსისა და ენგელსის მოძღვრება თეორიის, ფილოსოფიის კლასობრივი, პარტიული ხასიათის შესახებ შემდგომ იქნა განვითარებული „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში".

აღნიშნავდა რა მარქსისა და ენგელსის ღრმა პრინციპულობას მუშათა კლასის მტრებთან ბრძოლაში, ლენინი სწერდა: „მარქსი და ენგელსი დასაწყისიდან ბოლომდე პარტიულები იყვნენ ფილოსოფიაში, მათ უნარი შესწევდათ ცხადეყოთ მატერიალიზმიდან გადახვევა და იდეალიზმისა და ფიდეიზმისადმი დათმობანი ყველა და ყოველგვარ „უახლეს" მიმართულებაში" (თხზ., ტ. მე-14, გვ. 324). მარქსიზმის ფუძემდებელთა პარტიულობას ლენინი განიხილავდა როგორც უდიდეს და ყველაზე ძვირფას ტრადიციას.

ჩვენი პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე მისი ორგანიზატორები და ბელადები — ლენინი და სტალინი იბრძოდნენ რევოლუციური თეორიისათვის, სრულჰყოფდნენ მას, აიარაღებდნენ ამ თეორიით ბოლშევიკურ პარტიას. ისინი უდიდესი თანმიმდევრობით სჭედდნენ ბოლშევიზმის იდეურ იარაღს, თეორიულ საფუძვლებს უქმნიდნენ და უვითარებდნენ ახალი ტიპის პარტიას, ისეთ პარტიას, რომელსაც შეეძლებოდა სათავეში ჩასდგომოდა პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას კლასთა აშკარა შეტაკებების ახალი პერიოდის, პროლეტარული რევოლუციის პერიოდის პირობებში.

ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გამსჭვალულია ოდნავი სიყალბისადმი, მარქსისტული მატერიალიზმის არსიდან ოდნავი გადახრისადმი შეურიგებლობით.

„ცნობილია ის მგზნებარება და შეურიგებლობა, რომლებითაც მარქსიზმ-ლენინიზმი მუდამ ეწეოდა და ეწევა უმწვავეს ბრძოლას მატერიალიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ, —სთქვა ამხ. ა. ჟდანოვმა ამას წინათ ჩატარებულ ფილოსოფიურ დისკუსიაზე. — ამ ომში მარქსისტი-ლენინელები გამანადგურებლად აკრიტიკებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. მატერიალიზმის მოწინააღმდეგეებთან ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშს წარმოადგენს ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", სადაც ლენინის თვითეული სიტყვა წარმოადგენს განმგმირავ მახვილს, რომელიც სპობს მოწინააღმდეგეს".

ამხილებს რა მახისტი რეაქციონერების ცრუ და თაღლითურ ხრიკებს ფილოსოფიაში, ლენინს ისინი მზის სინათლეზე გამოჰყავს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს როგორც ხუცობის მსახურთ. სიტყვათა გროვას იქით, სქოლასტიკას იქით ლენინი მუდამ პოულობს და გვასწავლის ვპოულობდეთ ორ ძირითად ხაზს, ორ ძირითად მიმართულებას ფილოსოფიაში — მატერიალიზმსა და იდეალიზმს.

ის, ვინც უგულებელჰყოფს ძირითად მიმდინარეობებს ფილოსოფიაში, აუცილებლად ექანება შუალედობის საზიზღარ პარტიამდე, უკბილო ვეგეტარიანობამდე და ბურჟუაზიულ ობიექტივიზმამდე. ფილოსოფიაში ორი პარტიის შერიგებისადმი ან მათ შორის ბრძოლის მიჩქმალვისადმი მისწრაფება გარდუვალად მიგვყავართ ფილოსოფიაში რეაქციული პარტიის — იდეალისტთა პარტიის ბანაკში. ლაყბობა ფილოსოფიის ზეკლასობრივობის შესახებ სულელური გულუბრყვილობაა, შემრიგებლური თვალთმაქცობაა.

ლენინი ამბობდა, რომ უახლესი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ იყო. ლენინი გესლიანად და ულმობლად ამხილებს მახისტებისა და სხვა ბურჟუაზიული იდეალისტების მიერ უპარტიობის ყოველგვარ თამაშს. როგორც დასავლეთ ევროპელი, ისე რუსი მახისტები ყოველნაირად ცდილობდნენ ემტკიცებინათ, რომ მათი ფილოსოფია თითქოს მატერიალიზმსა და იდეალიზმზე მაღლა დგას, ზეკლასობრივ ხასიათს ატარებს. ასეთივე შირმით სარგებლობენ ახლანდელი ბურჟუაზიული რეაქციონერი თეორეტიკოსებიც, რომლებისთვისაც ხელსაყრელია შიშველი რეაქციულობა დაჰფარონ ლამაზი სიტყვებით ობიექტურობისა და უპარტიობის შესახებ.

მაგრამ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" და თავის სხვა ნაშრომებში ლენინმა დაამტკიცა, რომ კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ზეკლასობრივი, უპარტიო მოძღვრებანი, თეორიები, ფილოსოფიური სისტემები. თეორიაში, ფილოსოფიაში ბრძოლა საზოგადოებრივი კლასების ბრძოლის გამოხატულებაა. „უპარტიობა ბურჟუაზიული იდეაა. პარტიულობა სოციალისტური იდეაა", — ამბობდა ლენინი (თხზ., ტ. მე-10, გვ. 61).

წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გვასწავლის ვიყოთ დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების ერთგულნი, როგორც მათი ერთგულნი იყვნენ მარქსი და ენგელსი. აიღეთ, ამბობს ლენინი, მარქსისა და ენგელსის თხზულებანი და „თქვენ დაინახავთ **უცვლელ** ძირითად მოტივს: **მატერიალიზმის** მტკიცებას და ყოველგვარი მიჩქმალვის, ყოველგვარი აბნეულობის, იდეალიზმისაკენ ყოველგვარი გადახვევის მწარე დაცინვას".

იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის ბრძოლის მიჩქმალვის ან შერიგების ცდებს ლენინი განიხილავს როგორც ფილოსოფიის ბურჟუაზიული პროფესორების ფანდებს, მიმართულს მატერიალიზმის წინააღმდეგ. ლენინის მატერიალიზმი მებრძოლი და შეუდრეკელი მატერიალიზმია, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნია იდეალიზმისადმი ყოველგვარი შეღავათი, ყოველგვარი დათმობა.

ლენინიზმი მოითხოვს თანმიმდევრულ ბრძოლას იმპერიალიზმის მოფილოსოფოსე ლაქიების თანამედროვე ბნელეთის მოციქულობის წინააღმდეგ. ამჟამად ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ჰკრებს რეაქციის მთელ შავბნელ ძალებს: დიუის, რესელის, სარტრის, კროჩეს ტიპის დაქირავებულ ფილოსოფოსებსა და ლიტერატორებს, ამერიკელ „პერსონალისტებსა" და „ნეორეალისტებს", ბევინის, ბლუმის, რენერის, შუმახერის ტიპის ლეიბორისტ და სოციალ-დემოკრატ გამცემლებს, კათოლიკე მქადაგებლებსა და ფაშისტური რასისტული თეორიების აშკარა მომხრეებს— ისინი ყველანი ბორგავენ თავიანთ უძლურ გაბოროტებაში კომუნიზმის მზარდი ძალების, მისი რევოლუციური იდეების წინააღმდეგ. იარაღად ისინი იყენებენ რელიგიის, მისტიკის, იდეალიზმის მთელ არსენალს.

საზოგადოებრივი განვითარების ისტორიულმა გამოცდილებამ მთელ მსოფლიოს აჩვენა მარქსისტული დიალექტიკური მეთოდისა და ფილოსოფიური მატერიალიზმის დიადი ყოვლისმძლე ძალა.

III

თავისი წიგნის პირველ სამ თავში ლენინი პუნქტობრივ ამსხვრევს მახიზმის შემეცნების თეორიას და უპირისპირებს მას, მეცნიერულად ავითარებს და ამკვიდრებს დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიას.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — ყოფიერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების საკითხის — გადაწყვეტისას მატერიალიზმი წინააღმდეგ იდეალიზმისა, კერძოდ მახიზმისა, იქიდან გამოდის, რომ მატერიალური სამყარო ჩვენს გარეშე და ჩვენს დამოუკიდებლად არსებობს, რომ მატერია, ყოფიერება პირველადია, ხოლო სული, ცნობიერება — მეორადი. დიალექტიკური მატერიალიზმი დადებით პასუხს იძლევა კითხვაზე: შეუძლია თუ არა ჩვენს აზროვნებას შეიცნოს ნამდვილი სამყარო? შეიძლება თუ არა, რომ ჩვენი წარმოდგენანი და ცნებანი ნამდვილი სამყაროს შესახებ მის სწორ ასახვას წარმოადგენდნენ?

ადამიანის აზროვნებას, როგორც მარქსისტული მატერიალიზმი გვასწავლის, თავისი ბუნების მიხედვით შეუძლია შეიცნოს ობიექტური სამყარო. პრაქტიკით დადასტურებულ ჩვენს ცოდნას ბუნების შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების მნიშვნელობა აქვს.

ადამიანის მიერ გარესამყაროს შეცნობის პროცესის საფუძველს და შემეცნების ჭეშმარიტების კრიტერიუმს საზოგადოებრივი პრაქტიკა წარმოადგენს. ცხოვრების, პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის ძირითადი თვალსაზრისი უნდა იყოს.

თავის წიგნში ლენინი ცხადჰყოფს, რომ მიზეზობრიობის, აუცილებლობის, კანონზომიერების იდეა წარმოადგენს ადამიანის გონებაში ბუნების, გარესამყაროს კანონთა ასახვას. მახისტები კი ჰქადაგებდნენ სუბიექტივისტურ, იდეალისტურ თვალსაზრისს. მათთვის ბუნების განვითარების კანონები არსებობენ არა ობიექტურად, ე. ი. არა თვით ბუნებაში ან საზოგადოებაში, არამედ ცნობიერებაში, გონებაში.

ლენინი აღნიშნავდა, რომ სუბიექტივისტური ხაზი მიზეზობრიობის საკითხში, ბუნების წესრიგისა და აუცილებლობის გამოყვანა არა გარეშე ობიექტური სამყაროდან, არამედ ცნობიერებიდან, გონებიდან, ლოგიკიდან და სხვ., არა მარტო სწყვეტს ადამიანის გონებას ბუნებისაგან, არა მარტო აპირისპირებს პირველს მეორესთან, არამედ ბუნებას ხდის გონების **ნაწილად** ნაცვლად იმისა, რომ გონებას სთვლიდეს ბუნების ნაწილაკად.

მარქსისტული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ბუნების განვითარების კანონები ობიექტურია: ადამიანს კი არ შეაქვს წესრიგი და აუცილებლობა ბუნების განვითარებაში, არამედ ადამიანის ცნობიერებაში აისახება თვით ბუნების განვითარების კანონზომიერი მსვლელობა.

მახისტებთან ბრძოლაში ლენინი იცავს და ავითარებს დიალექტიკურ-მატერიალისტურ მოძღვრებას თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ. თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა — ასეთია მარქსიზმის დებულება.

რაც უფრო ღრმად შეცნობილი იქნება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონები, მით უფრო თავისუფალი იქნება ადამიანთა მოქმედება. სანამ ჩვენ ბუნების განვითარების კანონებს არ ვიცნობთ, მანამდე ბუნების მონები ვართ.

„ენგელსთან, — ამბობს ლენინი, — ადამიანის მთელი ცოცხალი პრაქტიკა იჭრება თვით შემეცნების თეორიაში და იძლევა ჭეშმარიტების **ობიექტურ** კრიტერიუმს: სანამ ჩვენ ბუნების კანონს არ ვიცნობთ, იგი, არსებობს და მოქმედებს რა ჩვენი შემეცნების გარეშე, „ბრმა აუცილებლობის" მონებად გვხდის" (თხზ., ტ. 14, გვ. 177). მაგრამ რაკი პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის, შემწეობით ბუნების განვითარების კანონებს შევიცნობთ, ჩვენ ბუნების ბატონები ვხდებით.

ლენინი არ დაკმაყოფილდა მახიზმის კრიტიკით მხოლოდ შემეცნების თეორიის საკითხებში. მან მოგვცა მათი ფილოსოფიური კონცეფციის, კერძოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში მათი ექსკურსების სისტემატური, თანმიმდევრული კრიტიკა. „დამანჭული სიტყვების პრეტენზიული სამოსი, სილოგისტიკის ნატანჯი გაწამაწია, დახვეწილი სქოლასტიკა, — ერთი სიტყვით, ასეთივე რამ გნოსეოლოგიაშიც, სოციოლოგიაშიც, იგივე რეაქციული შინაარსი, რომელიც იფარება ასეთივე მყვირალა აბრით" (გვ. 308).

ლენინი ააშკარავებს და დასცინის ბოგდანოვის ცდებს „გაასწოროს" და „განავითაროს" მარქსიზმი ემპირიოკრიტიციზმის მიხედვით. ბოგდანოვი, მისდევდა რა თავის უცხოელ მახისტ მასწავლებლებს, აშკარად მოექცა იდეალიზმის ტყვეობაში და ყოფიერებისა და აზროვნების იგივეობას ჰქადაგებდა. საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება, ამბობს ლენინი, ერთი და იგივე არ არის, სწორედ ისევე როგორც ერთი და იგივე არ არის საერთოდ ყოფიერება და საერთოდ ცნობიერება. მარქსიზმის მოძღვრება ის არის, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას.

ისევე, როგორც საერთოდ მატერიალიზმი აღიარებს ობიექტურად რეალურ ყოფიერებას, რომელიც დამოუკიდებელია კაცობრიობის ცნობიერებაზე, შეგრძნებაზე, გამოცდილებაზე და სხვ., ასევე ისტორიული მატერიალიზმი საზოგადოებრივ ყოფიერებას სცნობს კაცობრიობის საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ცნობიერება იქაც და აქაც მხოლოდ ყოფიერების ანარეკლია. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი მარქსისტული ფილოსოფიის მთლიან და მწყობრ სისტემას შეადგენს. მარქსიზმის ფილოსოფიას,—ამბობს ლენინი,—

„რომელიც ჩამოსხმულია ერთი ნაჭერი ფოლადისაგან, არ შეიძლება გამოაკლო თუნდაც ერთი ძირითადი წანამძღვარი, თუნდაც ერთი არსებითი ნაწილი, ისე რომ ობიექტურ ჭეშმარიტებას არ დაშორდე, ტყვედ არ ჩაუვარდე ბურჟუაზიულ რეაქციულ სიცრუეს" (გვ. 312).

ბურჟუაზიული ფილოსოფოსები მთელი ძალღონით ცდილობენ დააბნელონ ადამიანის ცნობიერება, მოაქციონ კაცობრიობა მისტიციზმის წყვდიადში, მოუსპონ მასებს კაპიტალისტური მონობის უღლისაგან განთავისუფლების რწმენა. იგივე უარყოფა მეცნიერული ჭეშმარიტებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური კანონზომიერებისა, იგივე სუბიექტივიზმი და აზროვნების სრული მოშლა, რაც დამახასიათებელი იყო მახიზმისათვის, ახასიათებს რეაქციულ ბურჟუაზიული ფილოსოფიის უახლეს მიმდინარეობებსაც.

ლენინის დიდი ნაშრომი შემმუსვრელი იარაღია იმპერიალიზმის თანამედროვე მოფილოსოფოსე ლაქიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

IV

ლენინი ცხადჰყოფს, რომ მახიზმი როგორც ფილოსოფიური მიმართულება, იდეურად დაკავშირებულია გარკვეულ სკოლასთან ფიზიკაში და ის საერთო რამ, რაც მახისტების ფილოსოფიას ფიზიკოსებთან ანათესავებს, ფილოსოფიური იდეალიზმია. გაარჩიო მახიზმი, ამბობს ლენინი, ისე, რომ უგულებელჰყო მისი უეჭველი კავშირი ახალ ფიზიკასთან, ნიშნავს იმას, რომ დასცინო დიალექტიკური მატერიალიზმის დედააზრს, რომელიც მოითხოვს ფილოსოფიური თეორიების განხილვას ბუნებისმეტყველებასთან ურთიერთკავშირში.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს უდიდესი აღმოჩენები მოხდა ფიზიკაში: აღმოჩენილ იქნა ელექტრონი, რადიაქტიურობის მოვლენა, დადგენილ იქნა ელემენტების გარდაქმნა. ამ აღმოჩენებმა, რომლებსაც ლენინი უწოდებს რევოლუციას ბუნებისმეტყველებაში, ძირფესვიანად შეცვალეს წინანდელი შეხედულებანი ნივთიერების აღნაგობაზე, დაამსხვრიეს მეტაფიზიკური წარმოდგენანი ატომთა განუყოფლობისა და უცვლელობის შესახებ, გააფართოეს და გაამდიდრეს ფიზიკის მოძღვრება მატერიის შესახებ. მაგრამ სპეციალისტ ფიზიკოსთა მნიშვნელოვანმა ჯგუფმა ახალ აღმოჩენათა არსი ვერ გაიგო და არასწორი გნოსეოლოგიური დასკვნები გააკეთა ბუნებისმეტყველებაში მომხდარი რევოლუციიდან. რაკი არ იცნობდნენ შემეცნების მატერიალისტურ თეორიას, არ ესმოდათ აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების თანაფარდობა, ისინი დაიბნენ, როცა მეცნიერების პროგრესმა დადგენილი დოგმები დაამსხვრია. აღმოჩნდა რა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ უკუეგდო მატერიის აღნაგობის ძველი თეორიები, რომლებიც ასახავდნენ მხოლოდ განსაზღვრულ საფეხურს ობიექტური სამყაროს შეცნობაში, ბევრმა ფიზიკოსმა ამასთან ერთად უარი სთქვა საერთოდ სამყაროს მატერიალურობის აღიარებაზეც, მივიდა შეუსაბამო დასკვნამდე მატერიის როგორც ობიექტური რეალობის გაქრობის შესახებ, დაეშვა ფილოსოფიურ იდეალიზმამდე, გახდა რეაქციული ფილოსოფიური სკოლების ტყვე.

„ახალი ფიზიკა იდეალიზმში გადავარდა უმთავრესად სწორედ იმიტომ, რომ ფიზიკოსები დიალექტიკას არ იცნობდნენ", — აღნიშნავდა ლენინი (გვ.248-249).

აკრიტიკებდა რა ფიზიკურ იდეალიზმს, ლენინმა ამავე დროს მოგვცა გენიალური მატერიალისტური გადაწყვეტა შემეცნების თეორიის ძირეული საკითხებისა, რომლებიც მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ბურჟუაზიულ ბუნებისმეტყველთა და ფილოსოფოსთათვის. ლენინმა გამოააშკარავა მახისტების თეორიული არევდარევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი: მატერიის ფილოსოფიურ და ფიზიკურ ცნებებს შორის განსხვავების გაუგებლობა. ლენინმა მოგვცა მატერიის კლასიკური განსაზღვრა:

„მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც მიცემული აქვს ადამიანს მის შეგრძნებებში, რომელსაც იმეორებენ, აღბეჭდავენ, ასახავენ ჩვენი შეგრძნებანი და რომელიც მათგან დამოუკიდებლად არსებობს" (გვ. 117).

მატერიის ფილოსოფიური განსაზღვრა არ ეხება მუდამ ცვალებად საბუნებისმეტყველო წარმოდგენებს მატერიის აღნაგობის, სტრუქტურის შესახებ. მთავარი განსხვავება მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის მდგომარეობს იმ საკითხის გადაწყვეტაში, თუ რა არის ჩვენი შემეცნების წყარო, რა დამოკიდებულება აქვს შემეცნებას მატერიასთან, როგორც ობიექტურ რეალობასთან.

ბევრმა ფიზიკოსმა ერთმანეთში არია მატერიის ფიზიკური და ფილოსოფიური ცნება. მატერიის სტრუქტურის, აღნაგობის შესახებ ზოგიერთ საბუნებისმეტყველო წარმოდგენათა დამსხვრევა ობიექტური რეალობის დამსხვრევად მიიჩნია და იდეალიზმის პოზიციებზე გადავიდა.

ააშკარავებდა რა მახისტებს, ლენინმა ცხადჰყო, რომ ყოველი ახალი მეცნიერული აღმოჩენა მხოლოდ ადასტურებს დიალექტიკურ მატერიალიზმს, ახალი ტრიუმფი მოაქვს მისთვის. დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ვ. ი. ლენინის გენიალური ფილოსოფიური ნაშრომი

(დასასრული)

ლის, რომ ადამიანის შემეცნება სულ მუდამ ვითარდება და ღრმავდება, და თუ გუშინ ჩვენი შემეცნება ატომს ვერ სცილდებოდა, დღეს კი ელექტრონსა და ეთერს ვერ სცილდება, სამაგიეროდ

„დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს ადამიანის პროგრესის გზაზე მყოფი მეცნიერების მიერ ბუნების შეცნობის ყველა ამ **ნიშანსვეტის** დროებითს, შეფარდებითს, დაახლოებითს ხასიათს. ელექტრონი ისევე **დაუშრეტელია,** როგორც ატომი, ბუნება უსასრულოა, მაგრამ იგი უსასრულოდ **არსებობს,** და აი სწორედ ეს ერთადერთი კატეგორიული, ერთადერთი უთუო აღიარება ადამიანის ცნობიერებისა და შეგრძნების გარეშე მისი **არსებობისა** განასხვავებს დიალექტიკურ მატერიალიზმს რელატივისტური აგნოსტიციზმისა და იდეალიზმისაგან“ (გვ. 249).

ლენინის მოძღვრება ბუნების ყველა ობიექტის უსასრულობისა და დაუშრეტელობის და კაცობრიობის უსაზღვრო უნარის შესახებ — შეიცნოს სამყარო — აცამტვერებს გონებაშეზღუდულ ბურჟუაზიულ წარმოდგენებს შემეცნების საზღვრების შესახებ, ადამიანის გონებისათვის შეუცნობელი საგნების არსებობის შესახებ.

ლენინმა უდიდესი ფაქტიური მასალით დაამტკიცა, რომ იდეალიზმს ბუნებისმეტყველებაში კავშირი აქვს ფილოსოფიურ იდეალიზმთან. ააშკარავებდა რა ამ კავშირს, ამხელდა რა რეაქციონერებს, რომლებიც ფიზიკის კრიზისს მატერიალიზმის გასაბათილებლად და იდეალიზმის დასამკვიდრებლად იყენებდნენ, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გადახრა რეაქციული ფილოსოფიისაკენ, რამაც თავი იჩინა ბუნებისმეტყველთა ნაწილში, „არის დროებითი ზიგზაგი, წარმავალი ავადმყოფური პერიოდი ისტორიაში, ზრდის ავადმყოფობა, რაც ყველაზე მეტად გამოწვეულია ძველ დამკვიდრებულ ცნებათა მკვეთრი დამსხვრევით“.

ლენინმა ამხილა გაფთრებული ბრძოლა ორი ძირითადი მიმართულებისა ფიზიკაში: აშკარა სპირიტუალისტებისა, რომლებიც უარჰყოფენ მატერიის არსებობას, გზას უკაფავენ ხუცობას, ფიდეიზმს, და ბუნებისმეტყველებისა, რომლებიც იცავენ სტიქიურ-მატერიალისტურ თვალსაზრისს სამყაროზე, მაგრამ რომლებსაც ჯერ კიდევ აკლიათ დიალექტიკური მატერიალიზმის ცოდნა. მატერიალიზმის მხარეზე მუდამ დგას ბუნებისმეტყველთა, მათ შორის ფიზიკოსთა უმრავლესობა, რომელთა სტიქიურ რწმენას, რომ გარესამყარო ობიექტურ რეალობას წარმოადგენს, ლენინი ახასიათებდა როგორც „ბუნებისმეტყველურ-ისტორიულ მატერიალიზმს“.

გამოააშკარავა რა იდეალისტთა ყველა ცდა დაემტკიცებინათ, რომ ახალი აღმოჩენები მატერიის აღნაგობის სფეროში თითქოს აბათილებენ მატერიალიზმს, ლენინმა ამავე დროს ამომწურავი სისრულით ცხადჰყო, თუ რა ბრწყინვალედ ადასტურებენ ეს ახალი აღმოჩენანი დიალექტიკური მატერიალიზმის სისწორეს. ლენინი აღნიშნავდა, რომ თანამედროვე ფიზიკა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის მატერიის შეცნობაში და ის კრიზისი, რომელსაც იგი განიცდის, დაძლეული იქნება.

„მატერიალისტური დედააზრი ფიზიკისა, — სწერდა ლენინი, — ისევე როგორც მთელი თანამედროვე ბუნებისმეტყველებისა, დასძლევს ყველა და ყოველგვარ კრიზისს. მაგრამ მხოლოდ ისე, რომ მეტაფიზიკური მატერიალიზმი აუცილებლად შეიცვალოს დიალექტიკური მატერიალიზმით“ (გვ. 292).

განაზოგადა რა ფიზიკის დიდი აღმოჩენანი, ლენინმა ამასთან ერთად მთელი ეპოქით ადრე ფილოსოფიურად გააშუქა მეცნიერების განვითარების გზები.

თანამედროვე ფიზიკამ, რომელიც ატომგულის სიღრმეს ჩასწვდა, ცხადჰყო მთელი დიადი მნიშვნელობა ლენინის გენიალური აზრისა ბუნების თვითეული მოვლენის უსასრულობის შესახებ. უახლესი ფიზიკის თეორიით წამოყენებული მოძღვრებანი მატერიის წინააღმდეგობისშემცველი (ტალღისებრი და კორპუსკულარული) ბუნების შესახებ, დროისა და სივრცის ერთიანობის შესახებ, მატერიისა და მოძრაობის განუყოფლობის შესახებ წარმოადგენენ მატერიალისტური დიალექტიკის ტრიუმფს, ლენინის იმ დასკვნის ბრწყინვალე დადასტურებას, რომ თანამედროვე ფიზიკა „შობს დიალექტიკურ მატერიალიზმს“. მაგრამ ეს პროცესი ხდება არა მწყობრი ევოლუციის გზით, არამედ გაფთრებული ბრძოლის მიმდინარეობაში.

მეცნიერებაში იდეალისტურ და მატერიალისტურ ბანაკს შორის მწვავე ბრძოლა მზარდი ძალით გრძელდება. ლპობის პროცესში მყოფი ბურჟუაზიული საზოგადოება გამხრწნელი სუნთქვით შხამავს მეცნიერებას, წარმოშობს მთელ რიგ მეცნიერთა შორის იდეალიზმს, მისტიკას. უაღრეს პესიმიზმს, ადამიანის შემეცნების უნარისადმი რწმენის უქონლობას. აგნოსტიციზმის ქადაგება, მიზეზობრიობის უარყოფა, სამყაროს დროსა და სივრცეში განსაზღვრულობის მოძღვრება, რომლებსაც აყენებენ ისეთი ფიზიკოსები, როგორიც არიან ჯინს ედინგტონი, ბორი, ჰაიზენბერგი, ასაზრდოებენ ხუცობასა და ფიდეიზმს, წარმოადგენენ ბუნებისმეტყველებაში რეაქციის დასაყრდენს. ამჟამად, ისევე როგორც ორმოცი წლის წინათ, მარქსისტული ფილოსოფიის წინაშე დგას ამოცანა ულმობლად ამხილოს დიალექტიკური მატერიალიზმისადმი მტრული იდეალისტური მიმდინარეობანი ბურჟუაზიულ მეცნიერებაში. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ აიარაღებს მეცნიერებს იდეალისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც მეცნიერებას ხუცობის ჭაობში მიერეკებიან. ეს წიგნი ეხმარება ბუნებისმეტყველებს, დაეუფლონ ერთადერთ სწორ მეცნიერულ თეორიას, ადამიანის შემეცნების მწვერვალს — დიალექტიკურ მატერიალიზმს.

* * *

ლენინის ფილოსოფიური წიგნის მნიშვნელობა ფასდაუდებელია. ამ წიგნით სწავლობდნენ და სწავლობენ ბოლშევიკურ მსოფლმხედველობას. ლენინის წიგნი, რომელიც პირველიდან უკანასკნელ სიტყვამდე გამსჭვალულია ბოლშევიკური პარტიულობის, მებრძოლი განწყობილებისა და რევოლუციური კრიტიკის სულისკვეთებით, უაღრესად ბასრ იარაღს წარმოადგენს ფილოსოფიის თანამედროვე იდეალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლენინის უკვდავმა იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს ლენინის საქმის დიდი განმგრძობის—ამხანაგ სტალინის კლასიკურ ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“. როგორც ლენინმა წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ განაზოგადა ყოველივე, რაც მოცემული იყო მეცნიერების მიერ მთელ ისტორიულ პერიოდში ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, და წინ წასწია მარქსისტული თეორია, ისე ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში თეორიულად განაზოგადა ყოველივე ის, რაც მოგვცა მეცნიერებამ და რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებამ მთელ პერიოდში ლენინის წიგნის გამოსვლის შემდეგ, და წინ წასწია მარქსისტული თეორიის განვითარება.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, კარში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ უაღრესად მკაფიო და სხარტი ფორმით მოცემულია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძველთა გენიალური გადმოცემა. ამ ნაშრომში ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ყოველივე იმის განზოგადება, რაც მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა შეიტანეს მოძღვრებაში დიალექტიკური მეთოდისა და მატერიალისტური თეორიის შესახებ, და შემდგომ განავითარა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრება მეცნიერებისა და რევოლუციური პრაქტიკის უახლესი მონაცემების საფუძველზე.

ამხანაგი სტალინი ავითარებს დიალექტიკურ მატერიალიზმს, როგორც კომუნიზმის თეორიულ საფუძველს, როგორც მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობას, რომელიც იდეურად აიარაღებს მუშათა კლასს მის ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისა და კომუნიზმის აშენებისათვის. ამ ნაშრომში განსაკუთრებული ძალით ნაჩვენებია შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიასა და ბოლშევიკური პარტიის პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობას შორის. პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დავუშვათ, გვასწავლის სტალინი, საჭიროა ვხელმძღვანელობდეთ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის დებულებებით, საჭიროა ვიცოდეთ ისტორიული განვითარების კანონები.

ი. ბ. სტალინის ნაშრომს „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც დაწერილია მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის უბადლო ოსტატის მიერ და რომელიც განაზოგადებს ბოლშევიზმის გიგანტურ პრაქტიკულ და თეორიულ გამოცდილებას, **ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს დიალექტიკური მატერიალიზმი; ეს ნაშრომი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური აზროვნების ნამდვილი მწვერვალია** („იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია“, გვ. 163-165).

ლენინისა და სტალინის დიადი თეორიული ნაშრომები საუკუნეებს იცოცხლებენ. ამ ნაშრომებით სწავლობს და ისწავლის სამყაროზე სწორ შეხედულებას მრავალი მილიონი ადამიანი. ლენინისა და სტალინის უკვდავი იდეებით შთაგონებულია და კვლავაც შთაგონებული იქნება მილიონობით ადამიანი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბრძოლველად.

ლ. ილიჩევი,
ვ. სტეპანოვი.

(„კულტურა ი ჟიზნ“).

სამხრეთ ოსეთში ხვნა-თესვის ტემპი უნდა დაჩქარდეს

ნაგვიანევმა გაზაფხულმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ხვნა-თესვა ჩამოარჩინა. დაწესებულ ვადებში შესრულდა მხოლოდ შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა. ძლიერ დაგვიანდა ხვნა, თავთავიანი კულტურების თესვა. ჩამორჩენაა სიმინდის, კარტოფილის და ბალახების თესვის საქმეშიც.

ახლა დამდგარი ამინდი შესაძლებლობას იძლევა სწრაფად დამთავრდეს საგაზაფხულო სამუშაოები, და ნათესების საუკეთესოდ დამუშავებით შეიქმნას პირობები ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის. პარტიის საოლქო კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა ოლქში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უსწრაფესად დამთავრებისათვის.

კოლმეურნეთა ორგანიზებული მუშაობით მაისის მეორე ხუთდღიური სტალინირისა და ზნაურის რაიონებმა წარმატებით აღნიშნეს. აქ ხვნის დავალებანი მთლიანად შეასრულეს, თესვაც დასასრულს უახლოვდება.

წელს გაზაფხულზე ცუდად როდი იმუშავა ქსუისის მტს-მა. მან გადაჭარბებით შეასრულა საგაზაფხულო ხვნის, გადახვნის, ფარცხვისა და თესვის დავალებანი. ამ სამუშაოთა შესრულებაში თავი ისახელა მეორე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ა. ბერუაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ გეგმის გადამეტებით მოხნა 32 ჰექტარი, გეგმით გათვალისწინებული 100 ჰექტარის ნაცვლად გადახნა 230 ჰექტარი, თესვისწინა ფარცხვის დავალება 600 პროცენტით გაანაღდა. ბრიგადის ტრაქტორისტებმა შ. ბერუაშვილმა, ა. ტურაშვილმა, ვ. ბერუაშვილმა თავი ისახელეს მაღალნაყოფიერი შრომით.

წელს საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა სტალინირის მტს-მა. მან საგაზაფხულოდ მოხნა 290 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 187-სა, გადახვნის დავალება შეასრულა 105,8 პროცენტით, ფარცხვისა — 231 პროცენტით, სიმინდის თესვისა — 106,7, შაქრის ჭარხლის თესვისა—115, ხოლო პლანტაჟისა—109,6 პროცენტით. მთლიანად სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. ამ მტს-ის მუშაობის ნაკლია ის, რომ ცალკეულმა ბრიგადებმა და ტრაქტორისტებმა საწვავი საგრძნობი რაოდენობით გადახარჯეს.

ოლქის ჩამორჩენა ხვნა-თესვაში მარტო უამინდობით არ აიხსნება. ზოგან არ მიიღეს ყველა ზომები, არ დარაზმეს მთელი ძალები სამუშაოთა სწრაფად და ხარისხიანად დამთავრებისათვის. ძარის სასოფლო საბჭოში შემავალი 17 კოლმეურნეობიდან 10 მაისისათვის ხვნა-თესვა დამთავრებული ჰქონდა მხოლოდ 2 კოლმეურნეობას, ამ სოფელში კი ყველა კოლმეურნეობისათვის მუშაობის ერთნაირი პირობები იყო. საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში 382 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 188 ჰექტარი სიმინდი, 10,5 ჰექტარი კარტოფილის ნაცვლად კი — 2 ჰექტარი. 7 კოლმეურნეობამ ერთწლიანი ბალახი უნდა დასთესოს. მაგრამ არცერთ მათგანს არაფერი არ ჰქონდა გაკეთებული ამ მხრივ.

ქურთის სასოფლო საბჭოში 8 კოლმეურნეობაა, ხოლო ქერეტის საბჭოში — 15. საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებისათვის მათ ერთნაირი პირობები აქვთ. მაგრამ ქურთის სასოფლო საბჭო უფრო ჩამორჩა. ამის მიზეზია არაორგანიზებული შრომა.

ზნაურის რაიონში ზოგან ყურადღებას არ აქცევენ შრომადღეების დროულად აღრიცხვასა და დარიცხვას, დაბალია შრომის დისციპლინა. სოფელ არკნეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ქ. ჯაგაევი, მოანგარიშე ქ. პაპაშვილი) შრომადღეების აღრიცხვა და დარიცხვა მოუწესრიგებელია. კოლმეურნეთა წიგნაკებს კანტორაში ინახავენ და შრომის წიგნაკებში თვეობით არ შეაქვთ გამომუშავებული შრომადღეები. ზოგს შრომის წიგნაკში შეტანილი არ აქვს მარტში გამომუშავებული შრომადღეებიც კი. შრომადღეებს ყოველთვიურად არ აჯამებენ. ბრიგადირები ზერელედ ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას, ზეპირად უკარნახებენ მოანგარიშეს, ვინ რა სამუშაო შეასრულა. მოანგარიშე ენდობა მათ და ასე იწერება შრომადღეები. კოლმეურნეობაში უდისციპლინობას მოწმობს სხვა ფაქტიც. ბრიგადირი ხ. თედეევი 12 თებერვლამდე ასრულებდა თავის მოვალეობას. შემდეგ სავაჭროდ წავიდა ორჯონიკიძეში და დღემდე არ ჩამოსულა. საჭირო გახდა ახალი ბრიგადირის არჩევა. იგი შარშანაც იყო კიევში. ეს ამბავი იცის პარტიის ზნაურის რაიკომმაც, მაგრამ საჭირო ზომებს არ იღებს. მ. კოტოლოვი კოლმეურნის უფლებებით სარგებლობს, მაგრამ კოლმეურნეობაში არ გამოდის სამუშაოდ, დღემდე გამომუშავებული აქვს 1,61 შრომადღე. კოლმეურნე ს. კოკოევს არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. ასეთი კოლმეურნეები აქ კიდევ არიან. ასევე შეიძლება ითქვას სოფელ ნულის კოლმეურნეობაზე. აქ კოლმეურნეთა ნაწილი მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო შრომაში. ამიტომაც მოჰყავთ დაბალი მოსავალი. ამ კოლმეურნეობას განსაკუთრებული დახმარება ესაჭიროება. სოფელ ავლევის კოლმეურნეობაში სიმინდის თესვა გააჭიანურეს. შარშან აქ შრომადღეზე 300 გრამი მარცვლეული გასცეს, ფული არ განაწილებულა. ასეთ კოლმეურნეობას წელს განსაკუთრებული მუშაობა მართებს, რათა მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას მიაღწიოს.

შარშან ოლქის მრავალმა კოლმეურნეობამ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მიიღო. წელს მეჭარხლე კოლმეურნეები უფრო მეტი მოსავლის მოყვანას გვპირდებიან. როგორც ცნობილია, შაქრის ჭარხლისათვის საჭიროა სასუქები. დღემდე ოლქის კოლმეურნეობებს არცერთი კილოგრამი აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქი არ მიუღიათ. სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი დარგი მოითხოვს აგროღონისძიებათა უკეთესად გატარებას და აგროპერსონალის ხელმძღვანელობისა და დახმარების ადგილებთან მიახლოებას. ამისათვის კი საჭიროა კადრები. როგორ არის ამ მხრივ საქმე?

ოლქში უნდა მუშაობდეს 187 აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი, ჰყავთ მხოლოდ 113 კაცი. აქედან უმაღლესი ცოდნით არის 41. აგროუბნებში უნდა მუშაობდეს 50 აგრონომი უმაღლესი ცოდნით. სინამდვილეში უმაღლესი ცოდნით არის 1 კაცი და 50-დან ჰყავთ 17 აგრონომი. რაიონების სოფლის მეურნეობის განყოფილებებში უნდა მუშაობდეს უმაღლესი ცოდნით 20 კაცი, არის 6. საკმაო რაოდენობით არა ჰყავთ ზოოტექნიკოსები თვით განყოფილებებში სამუშაოდ, უბნებში კი უფრო ცუდი მდგომარეობაა. ეს, ცხადია, ხელს უშლის აგროღონისძიებათა მოთხოვნების დროულად და ხარისხიანად შესრულებას. საჭიროა სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის კადრებით დაკომპლექტებას მეტი ყურადღება დაუთმოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

სოფლის ცენტრის კეთილმოწყობისათვის

მშრომელთა დეპუტატების ჩაისუბნის (ჩოხატაურის რაიონი) სოფლის საბჭოს დეპუტატებმა გადასწყვიტეს სანიმუშოდ მოაწყონ თავიანთი სოფლის ცენტრი და მოწოდებით მიმართეს სხვა სასოფლო საბჭოების დეპუტატებს. ამ ინიციატივას მხურვალედ გამოეხმაურნენ ხიდისთავისა და ზემო ფარცხმის სასოფლო საბჭოების დეპუტატები და აქტივი.

მშრომელთა დეპუტატების ზემო ფარცხმის სასოფლო საბჭოს სესიამ განიხილა ეს მიმართვა. სასოფლო საბჭო ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და კონკრეტული ვალდებულებანი იკისრა.

რაიონულმა გაზეთმა „ბრძოლის დროშამ“ დაბეჭდა ზემო ფარცხმის სასოფლო საბჭოს კეთილმოწყობის კომისიის თავმჯდომარის, ძველი ბოლშევიკის ასალო ცინცაძის წერილი სათაურით: „ჩვენი ვალდებულებანი“. ა. ცინცაძე სწერს:

„ჩვენი ვალდებულებანი ასეთია: სოფელ ზემო ფარცხმაში დავდგათ დიდი სტალინის მონუმენტი; შემოვღობოთ ზემო ფარცხმის და შუა ფარცხმის კოლმეურნეობათა კანტორების ეზოები და ჩავატაროთ მათი გამწვანება; დაბა ჩოხატაურიდან ზემო ფარცხმისა და შუა ფარცხმის ცენტრამდე ჩავატაროთ ქუჩების გამწვანება, მოვაწყოთ მათი ელექტროგანათება; ორივე სოფლის ცენტრში მოვაწყოთ გაზეთის ვიტრინები“.

ამავე წერილით ირკვევა, რომ სოფლის ცენტრის კეთილმოწყობისათვის კოსტა ცინცაძემ შეიტანა 100 მანეთი, მანვე იკისრა ქუჩაში მოაწყოს ერთი ელექტროწერტი და სამი დღე იმუშაოს. ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს გრ. გაბუნიამ, სეფე ცინცაძემ, ილ. რამიშვილმა, შერმადინ ცინცაძემ და სხვებმა.

ჩაისუბნელთა მოწოდების პასუხად სოფლის ცენტრის კეთილმოწყობისათვის საგრძნობი მუშაობა აქვს გაწეული აგრეთვე ხიდისთავის სასოფლო საბჭოს. ამ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. მათითაიშვილის წერილში, რომელიც გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნდა, ვკითხულობთ:

„ამ დღეებში დამთავრდა სოფლის ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობა, ეზოს შემოღობვა და გამწვანება, გაშენდა ბაღი, დარგულ იქნა პალმები და წიწვიანი მცენარეები, დამთავრების პროცესშია ხიდისთავის აბანოს მშენებლობა, კულტურულად მოვაწყეთ კოოპერაციის სავაჭრო წერტები, დაიწყო ხიდისთავის საშუალო სკოლის მშენებლობა, გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს კოლმეურნეთა საცხოვრებელი ბინების ელექტროფიცირებისათვის“.

ჩაისუბნელთა ინიციატივას ფართოდ ეხმაურება თითქმის ყველა სოფლის საბჭო. მათ მუშაობას სისტემატურად აშუქებს რაიონული გაზეთი.

„ქ ე თ ო დ ა კ ო ტ ე“

თბილისის კინოსტუდიის ახალი ფილმი

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ გამოუშვა ახალი მუსიკალური კინოკომედია „ქეთო და კოტე“. ამ მელოდიური, მხიარული კომედიის მოქმედება ვითარდება ძველი თბილისის ფონზე. ფილმის ავტორებმა შესძლეს ეჩვენებინათ XIX საუკუნის 60-იანი წლების თბილისი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით და ყალბ ეგზოტიკურობაში არ ჩავარდნილიყვნენ, შესძლეს მზითა და ჰაერით სავსე ნაწარმოების შექმნა.

XIX საუკუნის 60-იანი წლები საქართველოში ის დროა, როდესაც ქართველი თავად-აზნაურობა ჯერ კიდევ ცდილობს შეინარჩუნოს ძველი უდარდელი ცხოვრება, ქეიფში და დროს ტარებაში ანიავებს მამულებს. ამ დროს ისტორიის ასპარეზზე გამოდიან სავაჭრო კაპიტალის ახალი წარმომადგენლები, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთი სიმდიდრით, ფულით მოიპოვონ აღიარება საზოგადოების მხრივ. ამპარტავანი თავადაზნაურობა, რომელსაც კარს გალატაკების აჩრდილი მისდგომია, თანდათან ჰკარგავს პოზიციებს. ამ პოზიციებს იპყრობს ბურჟუაზია.

ქართულ ლიტერატურაში ეს ცნობილი თემაა. მას მიუძღვნეს თავიანთი ნაწარმოებნი გ. ერისთავმა, ლ. არდაზიანმა, გ. წერეთელმა. ამავე თემაზეა აგებული ავქსენტი ცაგარლის ცნობილი კომედია „ხანუმა“ და ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“.

სცენარის ავტორმა პოეტმა ს. ფაშალიშვილმა ფილმს საფუძვლად დაუდო ეს უკანასკნელი ნაწარმოებები. კინემატოგრაფიის შესაძლებლობათა მიხედვით გაფართოებულია სურათის ფარგლები, მოქმედება გადატანილია თბილისის ქუჩებში, ნაჩვენებია საქართველოს ლამაზი კუთხეები, ფილმში შეყვანილი არიან ახალი მომქმედი პირები. სცენარისტმა წინა პლანზე წამოსწია ქეთოს და კოტეს რომანტიკული სიყვარული, რომელიც ანგარების მოსაზრებებს არ ემორჩილება და ყოველგვარ დაბრკოლებას სძლევს.

სარეცენზიო ფილმის წარმატებაში მთავარია დამდგმელ-რეჟისორების, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ტაბლიაშვილისა და შ. გედევანიშვილის დამსახურება. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი გემოვნება და ტაქტი, რომლითაც შესრულებულია ფილმის უმეტესი ნაწილი. რეჟისორული ოსტატობის თვალსაზრისით ბრწყინვალედ არის გადაწყვეტილი მრავალი ცალკეული სცენა — ყარაჩოღელთა სერენადა, ქეთოს და კოტეს დუეტი, ქაბატოს სცენები, ხანუმას გაძევების ეპიზოდი და სხვ.

სურათის წარმატებას ინაწილებენ ფილმის ოპერატორი ა. დიღმელოვი, კომპოზიტორი ა. კერესელიძე და მთავარი მხატვარი ი. სუმბათაშვილი.

ფილმის გადაღების ხარისხი მაღალ დონეზე დგას. აღსანიშნავია ცალკეული ოსტატურად გადაღებული კადრები — ქალები ბაღში, საქანელა, ყარაჩოღელთა სცენა, ფერწერული მანერით გადაღებული მზიან-ჩრდილიანი თბილისის პეიზაჟები.

კომპოზიტორმა ა. კერესელიძემ ვ. დოლიძის საოპერო ნაწარმოების ქარგაზე შექმნა ფილმისათვის საჭირო მელოდიური, დასამახსოვრებელი მუსიკა, შეიტანა საკუთარი მუსიკალური ფრაგმენტები — რომანსები და სიმღერები. განსაკუთრებით ლამაზია ხალხურ ჰანგზე შექმნილი „ერთხელ ვიხილე“ და ყარაჩოღელთა სიმღერა. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ფილმის ერთგვარი მუსიკალური სიღარიბე. მუსიკალური კომედიისათვის სასურველი იყო მდიდარი ქართული ჰანგების საფუძველზე აგებული უფრო ფართო და მრავალფეროვანი მუსიკალური თემების განვითარება.

უსათუოდ აღსანიშნავია ფილმის მთავარი მხატვრის ი. სუმბათაშვილის მაღალი ოსტატობით აღბეჭდილი ნამუშევარი. გემოვნებამ, კომპოზიციის უტყუარმა გრძნობამ, ფერწერულმა ოსტატობამ საშუალება მისცა მხატვარს შეექმნა ის შესანიშნავი ფონი, რომელიც სტილსა და განწყობილებას უქმნის მთელ სურათს. აქვე აღსანიშნავია ფ. ლაფიაშვილის ეფექტიანი, მრავალფეროვანი კოსტუმები.

ფილმში მსახიობთა პირველხარისხოვანი ძალები მონაწილეობენ. ეპიზოდური როლებიც კი მინდობილი აქვთ სცენის გამოჩენილ ოსტატებს, რის გამოც აქტიორული თვალსაზრისით ფილმი მაღალ მხატვრულ დონეზე დგას.

ჩვეული ოსტატობით შექმნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. ღამბაშიძემ მილიონების პატრონის, ვაჭარ მაკარ კოტრიაშვილის სახე. თავის როლს იგი ჰქმნის არა გროტესკული, არამედ სადა, დარბაისლური მანერით და ზოგიერთ ადგილებში ჭეშმარიტ დრამატიზმს აღწევს.

გულწრფელობითა და უშუალობით განასახიერებენ მედეა ჯაფარიძე (ქეთო) და ბათუ კრავეიშვილი (კოტე) ახალგაზრდა მიჯნურთა როლებს, რასაც ხელს უწყობს ბ. კრავეიშვილის მშვენიერი მუსიკალური ხმა.

გაქნილი, მოხერხებული, ენაჭარტალა მაჭანკლის ქაბატოს როლს შესანიშნავად ასრულებს მსახიობი მერი დავითაშვილი. ამ რთული სახასიათო როლის განსახიერებისას მსახიობმა გამოავლინა ნამდვილი კომედიური ნიჭი და დიდი აქტიორული ოსტატობა. კოლორიტული და დამახასიათებელია რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ ჭავჭავაძე ხანუმას როლში.

სიკოსა და ნიკოს როლებს მსუბუქად, ძალდაუტანებლად ასრულებენ ქართული სცენის თვალსაჩინო წარმომადგენლები რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. შავგულიძე. მიუხედავად თავიანთი გროტესკული, მსუბუქი კომედიური ხასიათისა, ეს სახეები ერთ-ერთი სრულყოფილი სახეებია ფილმში.

თავად ლევანის როლს ზომიერად და კეთილშობილებით ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი.

ფილმში მონაწილეობას იღებენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, ე. ჩერქეზიშვილი, თ. ციციშვილი, ც. წუწუნავა, ც. თაყაიშვილი, ა. თოიძე, ს. ჟორჟოლიანი, კ. კვანტალიანი და სხვები. მათი შესანიშნავი აქტიორული ნიჭი ხელს უწყობს სურათის საერთო წარმატებას.

დიდი ოსტატობით ასრულებენ როლებს ყარაჩოღელთა ჯგუფის მონაწილენი—რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე, მ. მგელაძე, ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი ზ. ლეჟავა, ი. ქოქრაშვილი, გ. გელოვანი. როგორც ზემოთ ვთქვით, ყარაჩოღელთა სცენები ფილმის საუკეთესო ადგილებს წარმოადგენენ. მაღალი შეფასების ღირსია მათში მონაწილე მსახიობთა რომანტიკული პათოსით სავსე, კოლორიტული, შთაგონებული თამაში. ყურადღების ღირსი არიან ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები (კოტეს მეგობრები)—ე. მაღალაშვილი, ვ. ფირცხალავა, ა. ქობალაძე, გ. თოლორდავა, ა. დადიანი. მათი ახალგაზრდული ხალისი და გულწრფელობა შესანიშნავ ფონს უქმნის ქეთოსა და კოტეს რომანს.

დასასრულ გვინდა შევჩერდეთ ამ უდავოდ კარგი კინოსურათის ზოგიერთ სუსტ მხარეზე. ფილმის ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში სრულიად არა სჩანს ხალხი. ფილმის შემქმნელებს შესაძლებლობა ჰქონდათ ფუქსავატურ „მაღალ საზოგადოებასთან“ დაპირისპირების მიზნით უფრო მკაფიოდ ეჩვენებინათ დარბაისელი ქართველი მშრომელი ხალხი — თბილისელი ხელოსნები, ამქრები (რაც სურათში მეტად მკრთალად არის ნაჩვენები მჭედლების ეპიზოდურ სცენაში), თბილისის ქუჩებისა და ბაზრების კოლორიტული ფიგურები. სურათის მაყურებელს შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს იმ დროს თბილისის ყველა ფენაში ქეიფისა და დროსტარების მეტი არაფერი კეთდებოდა. სინამდვილის ასეთი ცალმხრივი დანახვა ხელს უშლის სრულქმნილი რეალისტური ნაწარმოების შექმნას. ზემოთ აღნიშნული თემის განვითარება კი უფრო ლოგიკურსა და თანამიმდევრულს გახდიდა ოდნავ აჩქარებულ და ეპიზოდურად დაქუცმაცებულ მოქმედებას. აღსანიშნავია აგრეთვე ერთგვარი თეატრალობისა და არაბუნებრიობის იერი, რომელიც სურათს ემჩნევა. კინემატოგრაფიის დიდ შესაძლებლობათა შესაბამისად იგი უფრო ცოცხალი, ხორცშესხმული და რეალისტური უნდა ყოფილიყო.

გვინდა აღვნიშნოთ ზოგიერთი უფრო უმნიშვნელო ნაკლიც. ზედმეტად მიგვაჩნია ნევაზე ქეთოს და კოტეს ნავით გასეირნების სცენა, რომელიც მთავრდება ამერიკული კინოფილმებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კოცნით; დამაჯერებლობას მოკლებულია პეტერბურგიდან ქეთოს ჩამოსვლის ეპიზოდი, როდესაც საქართველოს სამხედრო გზით ყმაწვილ კაცებს ეტლით მოჰყავთ სრულიად მარტო ახალგაზრდა ქალიშვილი. გარდა ამისა, ხერხი, რომლის საშუალებითაც გადაღებულია ეს ეპიზოდები (უკვე გადაღებული პეიზაჟის ფონზე მოქმედების განვითარება), არასასიამოვნო ხელოვნურობით განირჩევა.

აქვე უნდა ითქვას ფილმში ნაჩვენები ცეკვების სიმცირე და ნაკლები ეფექტიანობა. ჩვენის აზრით ცეკვის ისეთ დიდ ოსტატს, როგორიც არის ი. სუხიშვილი, შეეძლო უფრო მდიდრულად წარმოედგინა მრავალფეროვანი, უბადლო ქართული ცეკვები.

დასახელებული ნაკლოვანებანი მნიშვნელობას არ უკარგავენ ამ მხიარულ და ლამაზ კინოსურათს, რომელიც ქართული კინემატოგრაფიის თვალსაჩინო წარმატების მაჩვენებელია.

ლ. ბაგრატიონი

ნიკო გოცირიძის იუბილე

1948 წლის 31 მაისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესდგება რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნიკო გოცირიძის დაბადებიდან 75 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

გამოყოფილია საიუბილეო კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ა. ჩხარტიშვილის თავმჯდომარეობით,

კომუნისტი

ოთხშაბათი, 19 მაისი, 1948 წ. № 99 (8148).

ერთ დღეს ბათუმში...

დილით ქალაქის მყუდროება დაარღვია ქარხნების საყვირთა ხმამ და აჩქარებულმა ნაბიჯებმა: საწარმოებში მიიჩქაროდნენ მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, სკოლებისაკენ ჟრიამულით მიდიოდნენ სტალინური ეპოქის ბედნიერი ახალგაზრდები. სასიხარულო შრომის ფერხულში ებმებოდა ქალაქი...

როცა ლილისფერი ციდან ცხრათვალა მზემ გადმოიხედა, ქარხნებში უკვე დაზგებს უდგნენ მუშები, ნავსადგურში ხრჭიალებდა ჭახრაკი და გემიდან ეზიდებოდა ძვირფას ტვირთს, საორთქლმავლო დეპოდან გამოდიოდა ახალთახალი, მბზინავი ორთქლმავალი, სკოლებში მერხებს უჯდა და მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას ეუფლებოდა მოსწავლე ახალგაზრდობა.

ბათუმის საორთქლმავლო დეპოს ხარატმა ალექსანდრე კოპალეიშვილმა უკვე შეასრულა ხუთწლედის გეგმა. მან აიღო ვალდებულება წელს შეასრულოს 3 წლის გეგმა.
სურათზე: ამხ. ა. კოპალეიშვილი სახარატო დაზგაზე მუშაობის დროს.
ფოტო კ. საბახტარიშვილისა.

★

დაიწყო ერთი, ჩვეულებრივი დღე მზიურ ბათუმში.

* * *

მთელ დღეს შეუნელებლად შრომობდნენ სტალინის სახელობის ნავთგადამამუშავებელი ქარხნის მუშები, რომლებმაც პირველი ადგილი დაიკავეს ნავთის მრეწველობის საწარმოთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ხარისხის პრემია. ქარხნის მთელი კოლექტივი მუშაობს ერთი ფიქრით: განამტკიცოს მოპოვებული წარმატებანი, მიაღწიოს უკეთეს მაჩვენებლებს ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში. დღის საწარმოო დავალებანი გადამეტებით შეასრულეს სტახანოველმა ოპერატორებმა ამხ. ძნელაძემ, ბაშალეიშვილმა, ვერგუნმა, მოწინავე მუშამ ი. რუსიძემ და მრავალმა სხვამ.

დღიური დავალება 180 პროცენტით შეასრულა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ლ. ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატმა ამხ. შ. ვადაჭკორიამ, რომელსაც დღემდე უკვე განაღდებული აქვს 9 წლის საწარმოო გეგმა. წლის ბოლომდე იგი 12 თვის გეგმას კიდევ შეასრულებს და, ამრიგად, 3 წელიწადში ორი ხუთწლედის პირად დავალებებს გაანაღდებს.

ვოროშილოვის სახელობის მომთუთიებელი ქარხნის ზეინკლებმა მ. ზიბილაურმა და მ. ძლენტმა დღის ნორმები 180 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდეს. პირველმა მათგანმა 13 თვის, ხოლო მეორემ წლის საწარმოო დავალებანი პირველ მაისამდე შეასრულა.

კიროვის სახელობის ტყავეულობის ქარხანაში დღის საწარმოო პროგრამა 101,2 პროცენტით შესრულდა, დამზადდა ლურჯი, სამოდელო მაღალხარისხოვანი ტყავსაქონელი. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწია ვ. მურუსიძის საამქრომ, რომელმაც დავალება შეასრულა 47,6 პროცენტის გადამეტებით. სტახანოველებმა ო. კუპავამ, პ. ანტონიანმა, მ. დოლინინმა, ო. კრავჩენკომ, ლ. დემჩენკომ ცვლის ნორმები 145-180 პროცენტით გაანაღდეს.

შესვენებისას, სადილობის შემდეგ, ქარხნის აგიტატორებმა ი. რიმარმა, ი. მალიუგინმა და გრეჩკომ მუშებთან ჩაატარეს საუბრები თემაზე: „ფაშისტურ გერმანიაზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების სამი წლისთავი“. საღამოს ამ ქარხნის ორმოცდაათმა სტახანოველმა დაათვალიერა რევოლუციის მუზეუმი და ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი პუშკინის ქუჩაზე.

* * *

ნაყოფიერად იმუშავეს საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების, სამგზავრო და საბარგო სადგურების, აგრეთვე სალიანდაგო დისტანციის კოლექტივებმა.

საორთქლმავლო დეპოს სტახანოველმა ხარატმა ა. კოპალეიშვილმა ნორმა შეასრულა 205 პროცენტით, მჭედელმა ა. მამალაძემ — 160, ზეინკლებმა პ. ჩხაიძემ და შ. კოზლოვსკაიამ — 152, ურის დამრტყმელმა ა. ნაცვალაძემ—160, ელექტროშემდუღებელმა ბ. პოლტავეცმა კი — 148 პროცენტით.

ლუნინელმა მემანქანეებმა თავი გამოიჩინეს სანიმუშო მუშაობით, საწვავის ეკონომიისათვის ბრძოლით. მემანქანე გ. ზვიადაძემ ერთ დღეს დაზოგა 410 კილოგრამი საწვავი, მ. კუნჭულიამ — 226, ვ. კვაჭანტირაძემ კი — 222 კილოგრამი საწვავი.

მუშაობის დამთავრების შემდეგ საორთქლმავლო დეპოს 43 მოწინავე მუშამ და მოსამსახურემ კოლექტიურად ნახა კინოფილმი „მესამე დარტყმა“.

* * *

თვალსაჩინო მუშაობა სწარმოებს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები გავიდნენ სასწავლო-საველე პრაქტიკაზე. ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე დამთავრდა პედაგოგიკის ისტორიის კურსის წაკითხვა. გეოგრაფიის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე დაიწყო გამოცდები ფიზიკურ გეოგრაფიაში, ხოლო ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსზე — სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

ინსტიტუტთან გაიხსნა საკუთარი სამედიცინო პუნქტი.

საღამოს, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდა პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი საზაფხულო სესიებისათვის მზადების შესახებ.

* * *

დილის ათი საათიდან შეუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ ექსკურსანტები რევოლუციის მუზეუმში. აქ გამოფენილია დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ასახავენ ქალაქ ბათუმში დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას 1901-1902 წლებში.

პირველად მოვიდა სომხეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქ ერევნის პედაგოგიური ინსტიტუტის 32 სტუდენტი.

დღის 12 საათზე მუზეუმი ინახულეს ქობულეთის დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში დასასვენებლად ჩამოსულმა ურალელმა, ბაქოელმა, თბილისელმა და ქუთაისელმა ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, სტახანოველებმა.

დილიდან შებინდებამდე მუზეუმი დაათვალიერა 600-მდე კაცმა. მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა მათთან ჩაატარეს 7 თემატური ლექცია-საუბარი.

* * *

სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განიხილეს პირველ კვარტალში სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში ჩატარებული მუშაობის შედეგები, აგრეთვე გაარჩიეს მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლის ემინე ბაშა-ზადეს ლექცია თემაზე: „ლენინისა და სტალინის სახე ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“.

ნუმიზმატიკის ფონდს შეემატა ქობულეთში ნახული, ძველბერძნულ წარწერებიანი უნიკალური მონეტების კოლექცია — სამი ვერცხლის ფული ეგრეთწოდებული ბერძნული კოლონიის სინოპისა, რომელიც განეკუთვნება პირველ-მეორე საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ბათუმი. სტალინის ქუჩა. (ახალმიღებული დიზელავტობუსი).
ფოტო კ. საბახტარიშვილისა.

★

მუზეუმში მოწყობილი სტაციონალური გამოფენები — „აჭარის ბუნება და ეთნოგრაფია“, „ახალი სტალინური ხუთწლედი“ და სხვ. ინახულა კაგანოვიჩის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის 30 სტახანოველმა, 24 მოწინავე რკინიგზელმა, 400 მოსწავლემ, 50-ზე მეტმა მოსამსახურემ.

* * *

მოეწყო ამხანაგური შეხვედრები სტალინის სახელობის ნავთგადამამუშავებელი ქარხნისა და მთავარნავთმომარაგების ბათუმის სამმართველოს საწარმოების ფეხბურთელთა გუნდებს შორის, აგრეთვე „დინამოს“, „სპარტაკისა“ და საზღვაოსნო სასწავლებლის კალათბურთელთა შორის.

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკში, ტბაზე, გემ „პიონერით“ მოეწყო ბავშვთა მასობრივი სეირნობა. საღამოს 6 საათიდან გაიმართა შეჯიბრება იალქნიანი ნავების მართვაში. პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირ ისრაფილ ჯინჭარაძის სახელობის იალქნიანი ნავი, რომლის კაპიტანია, მოსწავლე გ. ხაზარაძე. ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრება ნიჩბის მოსმაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 22 პიონერი. საღამოს პიონერთა აქტივს გამოცდებისათვის მზადებაზე ესაუბრა აღმზრდელი ი. თოდრაძე.

* * *

ჰორიზონტს მზე რომ მოეფარა და შებინდდა, ქალაქის ქუჩებში თვალისმომჭრელად აბრჭყვიალდნენ ელნათურები.

ზღვისპირა ბულვარში, სანაპიროზე, პიონერთა პარკში, ლენინისა და სტალინის სახელობის ქუჩებში გამოვიდნენ მოსეირნეთა მრავალრიცხოვანი გუნდები.

გვიან ღამემდე არ დამცხრალა მხიარული საუბარი და სეირნობა პარკებსა და ქუჩებში.

ასე დასრულდა 12 მაისი, ოთხშაბათი — ერთი ჩვეულებრივი დღე მზიური აჭარის დედაქალაქში.

ქ. რუსიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

16, 17 და 18 მაისს სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1948 წლის პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩები.

18 მაისს სტალინგრადში სსრ კავშირის 1947 წლის ჩემპიონ მოსკოვის „ცდკა“-ს წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი „ტორპედოს“ გუნდი. შეხვედრა მოიგეს არმიელმა ფეხბურთელებმა, ანგარიშით — 4:0.

ლენინგრადის „დინამოსა“ და სამხედრო-საჰაერო ძალთა (მოსკოვი) ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა, რომელიც შესდგა 17 მაისს ლენინგრადში, დამთავრდა ფრედ — 1:1.

გუშინ, 18 მაისს, მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „ტორპედო“ და „სპარტაკი“. მატჩი დამთავრდა „სპარტაკის“ გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით, ანგარიშით — 4:1.

დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 15 მაისი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია პალესტინის საკითხზე. საფრანგეთ-ამერიკის წინადადება იერუსალიმისადმი დროებითი მეურვეობის დაწესების შესახებ, რაც ეწინააღმდეგებოდა გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებას იერუსალიმისათვის მუდმივი სტატუტის შემუშავების შესახებ უარყოფილ იქნა, რადგან ვერ მიიღო ხმების საჭირო ორი მესამედი. რეზოლუციის სასარგებლოდ ხმა მისცა 20 დელეგატმა, წინააღმდეგ — 15, კენჭისყრაში თავი შეიკავა 19 დელეგატმა. საბჭოთა დელეგაციამ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა.

ამავე დროს გენერალური ასამბლეის იმავე სხდომაზე ხმის უმრავლესობით მიღებული იქნა რეზოლუცია პალესტინაში გაერთიანებული ერების შუამავლის დანიშვნის შესახებ.

სესიის დელეგატთა შორის არსებობს აზრი, რომ ამერიკელებმა ასამბლეაში გაიყვანეს რეზოლუცია შუამავლის შესახებ, რათა გადაარჩინათ თავიანთი სახე და რომ ამ რეზოლუციას სულ ერთია ანგარიშს არავინ გაუწევს. შუამავლის ამოცანები ვიწრო ტექნიკურ ამოცანებად მიაჩნიათ.

ხმებია, რომ ებრაელებს გადაუწყვეტიათ პროტესტი განაცხადონ იმის წინააღმდეგ, რომ შუამავალი აღჭურვილ იქნას რაიმე პოლიტიკური ფუნქციებით, რომლებიც ეწინააღმდეგება გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფის შესახებ. საგულისხმოა, რომ არაბებმა შუამავლის დანიშვნის შესახებ რეზოლუციისათვის კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს.

გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მუშაობის მთელი მსვლელობა მოწმობს, რომ თავდაპირველი გეგმები ჩაეშალათ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელთა ინიციატივითაც მოწვეულ იქნა ეს სესია. ამერიკის დელეგაციამ ვერც კი გაბედა კენჭისსაყრელად გამოეტანა თავისი წინადადება მთელი პალესტინისადმი მეურვეობის რეჟიმის დამყარების შესახებ, რადგან არც ერთი ქვეყანა, რომელთანაც კონსულტაცია გამართეს ამერიკელებმა, არ დათანხმდა გამოეყო ამ მიზნისათვის თავისი ჯარები, რის შესახებაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა აშკარად განაცხადა პოლიტიკური კომიტეტის 13 მაისის სხდომაზე.

ასამბლეამ უარჰყო ინგლისის წინადადებაც პალესტინისათვის დროებითი რეჟიმის შესახებ. ეს წინადადება, რომელიც იმავე მეურვეობას გულისხმობდა, მაგრამ შენიღბული ფორმით, გააკრიტიკეს საბჭოთა კავშირის დელეგაციამ და მთელმა რიგმა სხვა დელეგაციებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია უკანასკნელ წუთამდე იცავდა წინადადებას პალესტინაში რაიმე დროებითი ხელისუფლების დაწესების შესახებ. იგი იცავდა აგრეთვე იმ წინადადებას, რომ, თუ პალესტინაში გაყოფის შესახებ გენერალური ასამბლეის წინანდელი გადაწყვეტილების საფუძველზე დამოუკიდებელი სახელმწიფო ან სახელმწიფოები გამოცხადდებოდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს არ ეცნოთ გამოცხადებული სახელმწიფო ან სახელმწიფოები.

უნდა აღინიშნოს, რომ ასამბლეაზე შუამავლის შესახებ რეზოლუციისათვის კენჭისყრის წინ მიღებულ იქნა ცნობა, რომ შეერთებულმა შტატებმა დე-ფაქტო სცნეს ებრაული სახელმწიფო. ამ ცნობამ ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯერ ასამბლეაზე განაცხადა, რომ ეს ცნობა მხოლოდ ხმა არის, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა დაედასტურებინა ამ ცნობის სისწორე. ამის შემდეგ ზედიზედ გამოვიდნენ არაბთა დელეგაციების წარმომადგენლნი და ბრალად სდებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს ფარისევლობასა და წვრილმან პოლიტიკურ თამაშს პალესტინის საკითხში. ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ გაისმოდა სარკასტული შენიშვნები.

ასამბლეის დელეგატთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პოლიტიკური მარცხი განიცადეს პალესტინის საკითხში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ებრაული სახელმწიფოს ცნობა აქ მიაჩნიათ მანევრად, რაც გამოიწვია შექმნილმა გარემოებამ. დელეგაციებს შორის გავრცელდა აზრი, რომ ტრუმენმა გადაწყვიტა დე-ფაქტო ეცნო ებრაული სახელმწიფო, რადგან სურს თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეკისრება პალესტინაში შექმნილი მდგომარეობისათვის და ამასთან დაუთმო კონგრესის გავლენიანი წევრების დაჟინებით მოთხოვნას.

სსრ კავშირის დელეგაცია პალესტინის საკითხის განხილვის მსვლელობაში თანმიმდევრულ-მტკიცე პოლიტიკას აწარმოებდა პალესტინის გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების დასაცავად და პალესტინის მიმართ ყველა მაქინაციის მხილებაში.

გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე დისკუსიის მსვლელობაში საბჭოთა დელეგატმა ამხ. გრომიკომ განცხადება გააკეთა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის თანმიმდევრული პოზიცია ამ საკითხში და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის უპრინციპობა.

კორეელი ხალხი მიესალმება საბჭოთა მთავრობის პასუხს

ფხენიანი, 14 მაისი. (საკდესი). კორეის მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა მთავრობის პასუხს ჩრდილო და სამხრეთი კორეის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანებული თათბირის მიმართვაზე კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ.

საბჭოთა მთავრობის პასუხის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ყველგან ჩრდილო კორეის საწარმოებში, დაწესებულებებში, სოფლებსა და სასწავლებლებში შესდგა მასობრივი მიტინგები და კრებები.

ქალაქ ფხენიანში კრებაზე გამოვიდა მეწარმე ტე სენ ხი, რომელმაც განაცხადა: „საბჭოთა მთავრობის პასუხი გაერთიანებული თათბირის მიმართვაზე შეეფერება მთელი ჩვენი ხალხის სურვილებს. ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საჭიროა გაყვანილ იქნან უცხოეთის ჯარები. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა მზადყოფნა თავისი ჯარების გაყვანის შესახებ. ჩვენი ხალხი დიდი მადლობელია საბჭოთა მთავრობისა ჩვენი სამშობლოს ხსნისათვის და ჩვენს ეროვნულ აღორძინებაზე მზრუნველობისათვის.

სადონის შახტების მუშამ ან ჩანმა მიტინგზე განაცხადა: „საბჭოთა მთავრობის პასუხი განამტკიცებს ჩვენს რწმენას დემოკრატიის ძლიერებისადმი. საბჭოთა მთავრობამ ნათლად გამოსთქვა თავისი სურვილი უცხოელთა ჩაურევლად თავისუფალი და დამოუკიდებელი კორეის სახელმწიფოს შექმნის შესახებ“.

ფხენიანის რკინიგზის მუშებმა განიხილეს საბჭოთა მთავრობის პასუხი და გენერალისიმუს სტალინს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენს ხალხს სულითა და გულით სურს თავისი სამშობლოს ერთიანობა და დამოუკიდებლობა. საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად იბრძვის ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის და უანგარო დახმარებას გვიწევს დემოკრატიულ მშენებლობაში. საბჭოთა კავშირისა და მისი არმიის მეოხებით ჩვენი სამშობლო განთავისუფლდა იაპონიის მიერ ხანგრძლივი ჩაგვრისაგან და ჩრდილო კორეამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ თავის განვითარებაში. ჩვენ გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირი კორეელი ხალხის გულწრფელი მეგობარია“.

ჩრდილო კორეის პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომამ, რაც გერმანიაზე გამარჯვების დღეს მიეძღვნა, მოისმინა საბჭოთა მთავრობის პასუხი და უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი დეპეშა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვისადმი. დეპეშაში გამოთქმულია კორეელი ხალხის დიდი მადლობა იმ უანგარო დახმარებისათვის, რასაც მას საბჭოთა მთავრობა უწევს დემოკრატიული კორეის ღირსეულ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

„კორეელი ხალხი, — ნათქვამია დეპეშაში, — ნათლად ხედავს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულობას საბჭოთა კავშირისა, რომელიც მზად არის კორეიდან გაიყვანოს თავისი ჯარები და მოგვანიჭოს უფლება— თვითონ გადავჭრათ ჩვენი სახელმწიფო საქმეები. ეს პოლიტიკა სავსებით შეეფერება ჩვენი ხალხის ინტერესებსა და სანუკვარ სურვილებს“.

მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომლის წერილი მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარისადმი

მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამხედრო ატაშატის თანამშრომელმა ჯეიმს მ. მაკ-მილინმა ამ დღეებში მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა:

„ქალაქ მოსკოვის მერს შეერთებული შტატების არმიის სერჟანტის, მოსკოვში ამერიკის საელჩოს სამხედრო ატაშატის თანამშრომლისაგან.

ორი წლის წინათ საბჭოთა კავშირში ჩამოვედი შეერთებული შტატებიდან, სადაც დავიბადე, აღვიზარდე და განათლება მივიღე. მე შორს ვიდექი იმ პოლიტიკისაგან, რომელიც ახლა ამერიკაში წარმოადგენს კონგრესმენების, სენატორებისა და საქმოსნების იარაღს პირადი შეძენისა და ძალაუფლებისათვის მათს მუდმივ ბრძოლაში.

შეერთებულ შტატებში ცხოვრების დროს მე ვერ წარმომედგინა, რომ არის საბჭოთა კავშირში არსებული სისტემის მსგავსი მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ზრუნავენ უბრალო ადამიანისათვის და რომელიც მიმართულია ხალხის თანამედროვე ცხოვრების და კულტურის პირობების მუდმივი გაუმჯობესებისაკენ. მე მაშფოთებდა ის გარემოება, რომ ადამიანთა ზოგიერთი ჯგუფი სიმდიდრეს იძენს იმით, რაც უბრალო ხალხს ეკუთვნის.

მხოლოდ სსრ კავშირში ჩამოსვლის შემდეგ მივხვდი, რომ ამერიკის ახლანდელი მთავრობის მანქიერება შედეგია იმ უსამართლო პოლიტიკური სისტემისა, რომლის დროსაც ადამიანს შეუძლია თავისი კეთილდღეობა მოიპოვოს მხოლოდ სხვისი გათელვით.

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც მიწა, ბუნებრივი სიმდიდრე და მრეწველობა ერთ მუჭა მდიდართა ხელშია, უდიდეს უსამართლობას წარმოადგენს.

ვაკვირდებოდი რა საბჭოთა ხალხს, მის ცხოვრებასა და აზროვნებას, მივხვდი, რომ მომავალი ეკუთვნის ამ ქვეყანას, სადაც კულტურის, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევანი მთელ ხალხს ემსახურებიან.

კაპიტალისტებისათვის, როგორც სჩანს, დიდი ხანია ცხადი გახდა, რომ ასეთი პოლიტიკური სისტემა, სადაც ყველაფერი ხალხს ეკუთვნის, დაღუპვას უქადის მათ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას საბჭოთა ქვეყანაზე გაბოროტებული თავდასხმები ამერიკელი კაპიტალისტების მხრივ.

იმ კაპიტალისტების ანტისაბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებიც ამჟამად ამერიკას მართავენ, მე უარს ვამბობ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებაზე და სსრ კავშირში ვრჩები.

ასეთივე წერილი მე გავუგზავნე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მოსკოვში ბატონ სმიტს.

ჯეიმს მ. მაკ-მილინი“.

1948 წ. 15 მაისი

ებრაული სახელმწიფოს დროებითი პრეზიდენტის არჩევა

ლონდონი, 17 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან იუწყება, ისრაელის სახელმწიფოს დროებითმა საბჭომ (ორგანო, რომელშიც შედის 37 წევრი და ასრულებს პარლამენტის ფუნქციებს) პირველ სხდომაზე დოქტორი ვეიცმანი აირჩია ებრაულ სახელმწიფოს დროებით პრეზიდენტად.

საომარი მოქმედება პალესტინაში

ლონდონი, 17 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტის ცნობით, ეგვიპტის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა სრულიად აკრძალა თვითმფრინავების ღამით ფრენა ეგვიპტეში და განაცხადა: იმ თვითმფრინავებს, რომლებიც ამ ბრძანებას არ დაემორჩილებიან, ესვრიანო.

დღეს ცნობილი გახდა, რომ ეგვიპტის მეფე გუშინ საღამოს ეგვიპტის არმიის შტაბ-ბინაკში მივიდა. არაოფიციალური ცნობებით, ეგვიპტის ჯარები 72 კილომეტრზე დგანან ქალაქ იაფიდან, რომელიც ებრაელთა ხელშია.

არაოფიციალური ცნობებით, გუშინ ღამით ეგვიპტის საჰაერო ძალებმა დაანგრიეს ნაგებობანი ტელ-ავივის ნავსადგურში.

ლონდონი, 17 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, დაუდასტურებელი ცნობებით, ეგვიპტის ჯარებმა მიაღწიეს ელ-მაჯდალს, რომელიც 13 მილზე მდებარეობს ჰაზის მთავარი ბაზიდან.

ლონდონი, 17 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან გადმოგვცემს, ებრაელთა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შერტოკმა მკაცრად გააკრიტიკა ინგლისი ტრანსიორდანიასთან მისი „მეტად მჭიდრო ურთიერთობისათვის“. მან განაცხადა, რომ „დიდი ბრიტანეთი ყოველწლიურად აძლევს არაბთა ლეგიონს 2.500 ათას გირვანქა სტერლინგს. ინგლის-ტრანსიორდანიის ხელშეკრულების თანახმად, ტრანსიორდანიას არ შეუძლია საომარი მოქმედების დაწყება, თუ დიდი ბრიტანეთი არ დაეთანხმა. დიდი ბრიტანეთის პასუხისმგებლობა უეჭველია. მე გამიკვირდა, როცა გავიგონე, თუ სერმა ალექსანდრე კადოგანმა როგორ განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში: არაბთა ლეგიონის შენაერთები პალესტინიდან გამოყვანილი არიანო. ეს აშკარად ეწინააღმდეგება ფაქტებს. არაბთა ლეგიონი არის აქ, იქ, ყველგან. სანამ მანდატი შეწყდებოდა, დიდმა ბრიტანეთმა არაბთა ლეგიონს ავანსად მიაწოდა 6 თვის — წლის დამლევამდე სამყოფი ტანსაცმელი და იარაღი. ეს ჩადენილი იყო იმ დროს, როცა მეფე აბდულას საომარი განზრახვა არ შეიძლებოდა ცნობილი არ ყოფილიყო ინგლისელებისათვის“.

ლონდონი, 17 მაისი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება: მესამე დღეა ტელ-ავივს განუწყვეტლივ ბომბავენ. დღეს პირველ თავდასხმაში მონაწილეობას ღებდა ორი თვითმფრინავი, რომლებმაც ექვსიოდე ბომბი ჩამოაგდეს. მათი მიზანი ალბათ, ნავსადგური იყო. მეორე თავდასხმა მოახდინეს რამდენიმე საათის შემდეგ.

არაბთა ჯარები, რომლებიც პალესტინაში ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შეიჭრნენ, განაგრძობენ წინსვლას. დამასკოდან იუწყებიან, რომ პალესტინას ჩრდილოეთით შეუერთდნენ სირიისა და ერაყის ჯარები.

იუწყებიან აგრეთვე, რომ ეგვიპტელთა ჯარები იმყოფებიან ტელ-ავივისაგან 40 მილის დაშორებით.

ბეირუთი, 17 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთები და რადიოსადგურები ამტკიცებენ, ლიბანის არმიამ დაიკავა სოფელი მოლკიე ლიბან-პალესტინის საზღვარზე. სირიის არმიამ დაიკავა სოფელი და რკინიგზის სადგური სამახი, ტივერიადის ტბის სამხრეთით. ერაყის არმიამ, იმავე ცნობებით, დაიკავა როტენბერგის ელექტროსადგური მდინარე იორდანეზე, ქალაქ ბეისანსა და ტივერიადის ტბას შორის, და ბრძოლებს ეწევა სადგურის მოსაზღვრე დასახლებულ პუნქტებისათვის. ტრანსიორდანიის არმიის ერთი ნაწილი წინ მიიწევს აფულის მიმართულებით, მეორე ნაწილმა დაიკავა აეროდრომი ლიდა. ტრანსიორდანიის არმიის ზოგიერთი ქვეგანაყოფი იერუსალიმის გარეუბანშია. ეგვიპტის არმიამ დაიკავა ქალაქი ჰაზი, განაგრძო წინსვლა ლიდის მიმართულებით და შეუერთდა ტრანსიორდანიის არმიას.

ლონდონი, 17 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ტელ-ავივის მახლობლად მდებარე აეროდრომს და „სრულიად მოშალეს“. ეგვიპტელთა საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე ებრაულ დაბაზე, რომელიც ჰაზასა და დერშაბას შუა მდებარეობს.

კაიროში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ჰაზა არჩეულია ეგვიპტის ჯართა შტაბის მთავარი ბანაკის განლაგების ადგილად, რომლებიც ემზადებიან შემდგომი საომარი მოქმედებისათვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

20 მაისს, საღამოს 7 საათზე, **ხანიტარული კულტურის სახლის შენობაში** (პლეხანოვის პროსპ., 101), მოწვეულია **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი.**

დღის წესრიგი: 1948 წლის I კვარტალის მუშაობის შედეგები და ამოცანები უახლოესი პერიოდისათვის (მომხსენებელი ამხ. ა. ხელიძე).

სახელმწიფო სესხთა ობლიგაციებისა და შემნახველი სალაროს სპეციალური ანაბრის მისაღები მოწმობების გადაცვლის წესის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, კონვერსიასთან დაკავშირებით, სახელმწიფო სესხების ობლიგაციებისა და შემნახველი სალაროს სპეციალური ანაბრის მისაღები მოწმობების გადასაცვლელად გამოშვებულია 1948 წლის სახელმწიფო 2-პროცენტიანი სესხი.

1948 წლის სახელმწიფო 2-პროცენტიანი სესხის ობლიგაციებზე გადაიცვლება 1947 წლამდე გამოშვებული ყველა სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, გარდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციებისა. გადაცვლილ უნდა იქნას აგრეთვე შემნახველი სალაროს სპეციალური ანაბრის მისაღები მოწმობები.

გადაცვლა დაიწყო ქალაქ თბილისში 1948 წლის 15 მაისიდან, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში დაიწყება 25 მაისიდან და გაგრძელდება 1948 წლის 1 აგვისტომდე.

ობლიგაციებისა და მოწმობების გადაცვლას აწარმოებენ ცენტრალური და რაიონული შემნახველი სალაროები, I თანრიგის შემნახველი სალაროები და, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთათვის გადაცვლის გასაადვილებლად, უშუალოდ საწარმო-დაწესებულებები და კოლმეურნეობები.

საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში გადაცვლის ჩასატარებლად დაწესებულია ვადები, რომელთა შესახებ ცნობის მიღება ობლიგაციების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთ ორგანიზაციებში.

ობლიგაციები გადაიცვლება შემდეგი ანგარიშით: საკონვერსიოდ განკუთვნილი სახელმწიფო სესხის ობლიგაციებისა და სპეცანაბართა მოწმობების № 3 და № 4 ტალონების ღირებულების სამი მანეთი (ნომინალური ღირებულებით) 1948 წლის სახელმწიფო 2-პროცენტიანი სესხის ობლიგაციების ერთ მანეთზე.

1948 წლის 1 აგვისტოს შემდეგ, საკონვერსიოდ განკუთვნილ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები და შემნახველი სალაროს სპეციალური ანაბრის მისაღები მოწმობები, რომლებიც არ იქნებიან წარდგენილი გადასაცვლელად, აგრეთვე ამ სესხების მოგებული და დაფარვის ტირაჟში გასული ობლიგაციები, ობლიგაციათა კუპონები და შემნახველი სალაროს მოწმობათა № 1 და № 2 ტალონები, რომლებიც არ იქნებიან წარდგენილი კუთვნილი თანხების მისაღებად, ძალადაკარგულად ჩაითვლებიან და მათი გადაცვლა ან განაღდება აღარ მოხდება.

დაწვრილებით ცნობებს გადაცვლის ჩატარების პირობებისა და წესის შესახებ გასცემენ შემნახველი სალაროები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

მოქალაქე **სტეფანე მაქსიმეს-ძე რეზნიჩენკომ**, მცხოვრებმა ძნელაძის ქ. № 26, აღძრა საქმე ქ. ბათუმში საავადმყოფოს ქ. № 27 მცხოვრებ მოქალაქე **ოლღა მიხეილის ასულ რეზნიჩენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი არტემის-ძე არუთინოვმა**, მცხოვრებმა ენგელსის ქ. № 46, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნინო სიმონის ასულ ესაკიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 29 მაისს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (სამოსწავლო შესახვევი № 2/4) მექანიკური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტი **ე. გ. გიორგიძე** თემაზე:

„Возможность применения хромо-марганцевого чугуна для отливки режущего инструмента“;

ოფიციალური ოპონენტები: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მ. ვ. კახიანი**, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **კ. ი. ჯულელი.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **მ. დ. ცქიტიშვილი** თემაზე: **$Fe-Mn_3C$ შენადნობების შესწავლა აუსტენიტური ქედადი თუჯის მისაღებად“;** ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **გ. კ. გედევანიშვილი,** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **კ. ი. ჯულელი.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დირექცია, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები იუწყებიან **იაგორ დოლიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სამსონ, შვილები ვარლამ, ვასო, გრიგოლ ოჯახებით იუწყებიან **კალისტინა გიორგის ასულ ხუხუნეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-V ს. როსინში (მაიაკოვსკის რ.).

შვილები დოდო, ნანული და კიტა ცაგარეიშვილები იუწყებიან **ოლია ერმილეს ასულ სიმონიძე-ცაგარეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-V, 7 ს. გამოსვენება 20-V, 5 ს. ბოჭორიშვილის, 37.

მეუღლე კატია, შვილები გრაფი, სონია, ანტისა, პაშა, კაკო, დოჯი ოჯახებით იუწყებიან **იოსებ ფაჩულიას-ძე შანავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-V წალენჯიხაში.

მეუღლე ნოე, შვილები მიშა, სიმონ, კობა, ნაზია იუწყებიან **ნატაშა ნესტორის ასულ შარაშიძე-უჯმაჯურიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-V ს. ხევში (ჩოხატაურის რ.).

ა. ს. მარჯანიშვილი, კ. ზ. ქეცბა, ლ. მ. მინდაძე, ი. ა. ბასილაშვილი, ი. ი. გველუკაშვილი, ა. ი. მჟავია, ა. ლ. ბუიძე, ზ. ნ. მამამთავრიშვილი, დ. ა. შარვაძე, რ. რ. ერისთავი იუწყებიან **ანა ქაიხოსროს ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს კოლექტივი იუწყება **კალისტინა გიორგის ასულ ხუხუნეიშვილის** გარდაცვალებას.

ვ. სიხარულიძე, დ. ქეიშვილი, ა. გობრონიძე, ნ. სანადირაძე, მ. ჭანუყვაძე, ა. სალუქვაძე, შ. ვასაძე, ვ. ტუღუში, შ. მაღრაძე, ლ. თოლაკვაძე იუწყებიან მაკარ და შალვა ჯაშის მამის **ივანე გაბრიელის-ძე ჯაშის** გარდაცვალებას.

მეუღლე მარიამ, შვილები შალვა, ალექსანდრე ხელაძეები ოჯახით იუწყებიან **ივანე დავითის-ძე ხელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-V დ. თიანეთში.

ტრესტი „გრუზნეფტეპრომმატერიალის“ სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან **მიხეილ ნემსაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-V ს. ბზვანში (ვანის რ.).

მეუღლე სონია, დები ელენე, თამარ, ძმა არჩილი ოჯახით, იუწყებიან, რომ 23 მაისს 6 საათზე, სიღნაღში, ჯაფარიძის ქ. № 8 დანიშნულია **ილია ნიკოლოზის-ძე გოცირიძის** სამოქალაქო პანაშვიდი.

ი. მელქაძე, მ. ბოჭორიშვილი, დ. ჯიჯონაია, გ. ქვანია, გ. ავალიანი, ი. მირცხულავა, რ. მოწერელია, ვ. ორაგველიძე, დ. ჩიქოვანი, ლ. ბარამიძე, ვ. გულიაშვილი იუწყებიან **ნიკანდრო გიორგის-ძე ბალათურიას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110.000

უე 01928